ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 21 მარტი, 2022 | №56 (8834) | ფასი: 80 თეთრი

## ირაკლი ოქრუაშვილი: „ყველას გირჩევთ, დაივიწყეთ უკრაინაში წამოსვლაზე ფიქრი, თუ არ გაქვთ საბრძოლო გამოცდილება...“

გვ.2



# „ღარიბაშვილი თუ ჩავა უკრაინაში, ყველაფერი გამოსწორდება“



ვალერი ჩეჩელაშვილი: „ჩვენ არა გვაქვს იმის ფუფუნება, რომ არ შევუერთდეთ ფინანსურ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ“






გვ.3

## „არ ვართ რუსეთის მხარეს! ნატოს წვრთნები მიმდინარეობს საქართველოში“




გვ.2

დავით ბერძენიშვილი: „მიკვირს, სალომე ზურაბიშვილი რატომ არ მიდის კიევში“

## „დღევანდელი რუსეთი არის ფაშიზმისა და კომუნიზმის ნაზავი“



გვ.4

შოთა მალაშხია: „დამნაშავე რუსეთმა ზარალი უნდა აუნაზღაუროს უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას“

## რამაზ საყვარელიძე: „სალომე ზურაბიშვილი უფრო გამოადგება ქვეყანას, ვიდრე დაუშავებს“



გვ.3



## „ორსული ცოლის მკვლელობისთვის დაკავებული გოგა გზირიშვილი ნარკოტიკებს მოიხმარდა“

რას ყვება დაკავებულის მამა

გვ.5

## გლდანში ძმის შვილიშვილმა 82 წლის ქალი მოკლა და ტელევიზორი ლომბარდში წაიღო



1993230720223

2 ხატია დეკანოიძე: „ოცნებას“ არ უნდა, რომ პუტინი დამარცხდეს“

6 რუსმა ოკუპანტებმა უკრაინელი ჟურნალისტი გაიტაცეს

4 მეუფე ნიკოლოზი: „რუსეთი არის ოკუპანტი!“

6 ზელენსკი: „მარიუპოლის ბლოკადა ომის დანაშაულთა ისტორიაში შევა“

3 უკრაინაში დაღუპულ 2 ქართველს საქართველოში პოლონეთიდან გადმოასვენებენ

# „არ ვართ რუსეთის მხარეს! ნატოს წვრთნები მიმდინარეობს საქართველოში“

## დავით ბერძენიშვილი: „მიკვირს, სალომე ზურაბიშვილი რატომ არ მიდის კიევში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.



***– ბატონო დავით, უკრაინაში სიტუაცია კვლავ მძიმეა. მსოფლიო კი ერთიანია უკრაინის მხარდაჭერაში. რა პოზიცია უჭირავს ჩვენს ხელისუფლებას? საზოგადოებაში ჩნდება კითხვები, რომ ხელისუფლების ამ პოზიციის გამო, სანქციებში ხომ არ მოყვება საქართველოც? თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

– არა, ჩვენ არ გვემუქრება სანქციები. ახლა ეს არასერიოზულია თუკი ვინმე ამას ლაპარაკობს. ჩვენ არ განვიხილებით დასავლეთის მხრიდან ლუკაშენკოდ და პუტინის პარტნიორად. თუმცა ჩვენი ხელისუფლების როყიო გამონათქვამების გამო, უხერხულ მდგომარეობაში ვართ. მთელი მსოფლიო ხედავს, ქართველი ხალხის პოზიცია როგორია, ქუჩაშიც, პარლამენტშიც, ოპოზიციაში, მედიაში, ასევე ცნობილია პრეზიდენტის პოზიცია, ასე რომ, ეს საფრთხე არ არსებობს. ჩვენ ამ თვალსაზრისით სასირცხვილო არაფერი გვაქვს. ჩვენ დღეს გვყავს ღარიბაშვილი, უკრაინელებს პრეზიდენტად ჰყავდათ არჩეული იანუკოვიჩი, რომელიც გაცილებით დიდი საფრთხის მატარებელი იყო. ასე რომ, არ გვაქვს ჩვენ ეს პრობლემა. კი, უსიამოვნოა, როდესაც ასეთი ხელისუფალი გყავს, მაგრამ ხალხის დამოკიდებულება სრულიად სხვაგვარია და ეს კარგად ჩანს.

***– ქართველებიც იბრძვიან უკრაინის თავისუფლებისთვის და მათი სისხლიც იღვრება იქ.***

– დიახ, ასეა, ჩვენ სისხლსაც ვღვრით უკრაინაში და პოლიტიკური მხარდაჭერაც გვაქვს. მძიმე დღეები გვაქვს, სამი ქართველი მებრძოლი დავკარგეთ. არ მჭირდება საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის გავლით და ფილტრით მომართვა და ჩვენც მიმართული გვაქვს. 10-დან 9 ქართველს დადასტურებული აქვს მისი პატივისცემა. ტაქტიკურად სწორად იქცევა ზელენსკი. მაქსიმუმს ითხოვს და ბევრს იღებს. დღეს მსოფლიოში უკრაინელები მთავარი მებრძოლები არიან და შეუძლებელია მათი დამარცხება.

***– ჩვენი ხელისუფლების პოზიციებიდან გამომდინარე, მაინც არ ჩათვლის დასავლეთი, რომ რუსეთის მხარეს ვართ?***

– არ ვართ რუსეთის მხარეს! აგერ ნატოს წვრთნები მიმდინარეობს საქართველოში. ასე რომ, საქართველოში დასავლეთი გაცილებით ძლიერია, ვიდრე რუსეთი. ამიტომ ივანიშვილი და ღარიბაშვილი რამდენს გაიხედავენ მოსკოვისკენ, მაინც ვერ შეწვდება მათი თვალი მოსკოვს. დასავლეთი უფრო ძლიერია.

***– ივანიშვილი და ჩვენი ხელისუფლება პირიქით ფიქრობს? ჰგონიათ, რომ პუტინი იმარჯვებს ამ ბრძოლაში?***

– საქართველოს ხელისუფლებაში არაფერი ხდება ივანიშვილის გარეშე. ის არის ერთადერთი ადამიანი ამ ქვეყანაში, შეიძლება დედამიწის ზურგზეც, მილიარდერებშიც ერთადერთია, რომელსაც ჰგონია, რომ პუტინი იგებს. არ უნდა ავიტანოთ ჩვენ ეს, როდესაც იქნება გამარჯვება, ჩვენ ამ გამარჯვების ნაწილი უნდა ვიყოთ! სწორედ ახლო წარსულით, დღეს დაღვრილი სისხლით და ქართველი ხალხის სოლიდარობით.

**„საქართველოს ხელისუფლებაში არაფერი ხდება ივანიშვილის გარეშე. ის არის ერთადერთი ადამიანი ამ ქვეყანაში, შეიძლება დედამიწის ზურგზეც, მილიარდერებშიც ერთადერთია, რომელსაც ჰგონია, რომ პუტინი იგებს“**

***– განაცხადი გავაკეთეთ კანდიდატობაზე, ევროსაბჭოში. რა მოლოდინი გაქვთ ბატონო დავით? პრემიერმა გააკეთა ეს განაცხადი. მისი პოზიციებიდან გამომდინარე ეს ცოტა უცნაურიც იყო, ალბათ ხალხის ნების წინააღმდეგ ვერ წავიდა?***

– ეს მორიგი დადასტურებაა არაკვალიფიციურობის. სანქციებს არ ვუერთდები ევროკავშირისასო და ევროკავშირის კანდიდატობა მინდაო. ევროკავშირის კანდიდატობა იმას ნიშნავს, რომ შარლ მიშელის დოკუმენტი პირველ რიგში უნდა დააბრუნონ, მაგრამ ამდენი ამათ არ იციან. რა თქმა უნდა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა, ეს ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია და აქაც სამივე ქვეყანა ვართ – საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, მაგრამ უკრაინის საკითხი მაინც უფრო პრიორიტეტულია და პირველ რიგში ის განიხილება. კარგია ეს პროცესი, ჩვენ უმეთვალყურეოდ არ ვართ. როგორც გურიაში იტყვიან, „საქართველოს მთავრობა არ დაიტიება მარტო“. ამიტომ არც არის მარტო დატოვებული.

***– რამდენად უშვებთ, რომ ჩვენი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ჩავიდეს კიევში. ეს უკვე არაერთხელ გაჟღერდა, რომ ეს ძალიან კარგი ტონი იქნება, კარგი განაცხადი იქნება. ელოდებით, რომ ჩავა?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, არ ველოდები მისგან ასეთ საქციელს. მაგრამ ვისაც შეხვდებოდნენ კიევში სიხარულით, ეს საქართველოს პრეზიდენტია და მე უფრო ის მიკვირს, სალომე ზურაბიშვილი რატომ არ მიდის კიევში?!

***– სალომე ზურაბიშვილს უზღუდავენ ყველანაირ უფლებას...***

– კიევში ჩასვლას ვერავინ ვერ აუკრძალავს. გადაადგილება მას შეზღუდული არა აქვს და მას შეუძლია პოზიტიური როლი შეიტანოს საქართველოს იმიჯში და ნამდვილად შეუძლია. რომ წავიდეს კიევში.

***– „ოცნებამ“ გაავრცელა ეს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი ჩვენგან მალულად აპირებდა კიევში ჩასვლასო. თუმცა სალომე ზურაბიშვილმა უარყო ეს ინფორმაცია.***

– არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. მოკლედ, მას თუ უნდა, წასვლას ნამდვილად მოახერხებს.

***– რამდენად დაარღვია პრეზიდენტმა კონსტიტუცია, რაზეც ედავება მას „ქართული ოცნება“?***

– არა, არ დაურღვევია. ვახტანგ ხმალაძეა მთავარი ავტორიტეტი ჩემ თვალში და ის ამბობს, რომ არ დაურღვევია. საერთოდ, ხელისუფლების ეს ფაციფუცობა არის სამარცხვინო და არაკვალიფიციურობის მორიგი დადასტურება.

***– რას ემსახურებოდა ეს ყველაფერი. რატომ ატეხეს ამხელა ამბავი?***

– თავს იმართლებენ და ამავდროულად სალომე ზურაბიშვილსაც აშინებენ, შენ მართლა პრეზიდენტი ხომ არ გგონია თავი, ჩვენ დაგსვითო.

***– 100 ხმა რომ ჰქონდეთ, როგორ ფიქრობთ, მოუწყობდნენ იმპიჩმენტს?***

– არა აქვთ და რომ ჰქონდეთ, მოუწყობდნენ.

***– ბატონო დავით, ასევე უნდა გკითხოთ უკრაინის ელჩზე, რომელიც ზელენსკიმ გაიწვია, მაგრამ აღმოჩნდა რომ ამჟამად ის საქართველოშია. ბევრი ამას ასე ხსნის, რომ რაღაც შანს გვიტოვებენ ურთიერთობების აღსადგენად. რას იტყვით თქვენ?***

– მე ვთვლი, რომ სწორი ქნა სალომე ზურაბიშვილმა, როცა მიმართა ზელენსკის, რომ დაებრუნებინა ელჩი თავის სამუშაო ადგილას და კარგი იქნება, რაც მალე შეუდგება უკრაინის ელჩი საქართველოში თავის მოვალეობის შესრულებას.

***– რა საფრთხეების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა რუსეთის მხრიდან? ან რა მდგომარეობაშია ჩვენი თავდაცვა?***

– პუტინი უკრაინაში თუ მოიგებდა, მაშინ საქართველო იქნებოდა ერთ-ერთი უახლოესი აგრესიის მსხვერპლი, მაგრამ პუტინი უკრაინაში წააგებს და იმედი მაქვს, თავსაც წააგებს. ამიტომ არ გვემუქრება ამჟამად რუსული ოკუპაციის გაღრმავება საქართველოში.

## ხატია დეკანოიძე: „ოცნებას“ არ უნდა, რომ პუტინი დამარცხდეს“



– როგორც პუტინი იყენებს პროპაგანდას, რომ ჩვენ ნატო იმიტომ არ გვინდა, ქალაქებს დაგვიბომბავსო, იგივეს აკეთებს „ქართული ოცნება,“ თუ რამე არ მოგვწონს ხელისუფლების, ესე იგი ჩვენ ომი გვინდა.

ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ხატია დეკანოიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

ხატია დეკანოიძემ ისაუბრა უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის საქართველოს პარლამენტისადმი მიმართვის შესაძლებლობაზე და განაცხადა, რომ მმართველ პარტიას „პარლამენტი საკუთრება ჰგონია“.

– „ქართული ოცნების“ პრობლემაც ეს არის, რომ პარლამენტი მათი საკუთრება ჰგონია. პრეზიდენტ ზელენსკის გამოსვლა დაადასტურებდა ერთიანობას არა მხოლოდ ოპოზიციის შიგნით, სახელისუფლებო უმრავლესობაში. ჩემი სურვილიც ეს იყო, რომ ჩვენ ერთიანი პოზიცია გამოგვეხატა.

პუტინი დამარცხდება და ჩვენ სამშვიდობოზე ვიქნებით, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ გულის სიღრმეში არ უნდა, რომ პუტინი დამარცხდეს და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ არ სჯერათ შინაგანად.

გაჟღერდა ოპოზიციის მხრიდან ინიციატივა ზელენსკის გამოსვლაზე, მქონდა კომუნიკაცია და თანხმობა გამოხატა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, რომ ყოველთვის მოხარული იქნებიან, საქართველოს მოქალაქეებს და პარლამენტს ესაუბრონ, ეს გავახმოვანეთ. თვითონ მიეწერათ, თვითონ აეღოთ ეს ინიციატივა, ვინ უშლიდათ, მაგრამ მათი ძირითადი მმართველობა დაფუძნებულია შიშზე და არა კეთებაზე. როგორც პუტინი იყენებს პროპაგანდას, რომ ჩვენ ნატო იმიტომ არ გვინდა, ქალაქებს დაგვიბომბავსო, იგივეს აკეთებენ, თუ რამე არ მოგვწონს ხელისუფლების, ესე იგი ჩვენ ომი გვინდა, – განაცხადა დეკანოიძემ.

## ირაკლი ოქრუაშვილი: „ყველას გირჩევთ, დაივიწყეთ უკრაინაში წამოსვლაზე ფიქრი, თუ არ გაქვთ საბრძოლო გამოცდილება...“



უკრაინაში მებრძოლად მყოფმა ირაკლი ოქრუაშვილმა ფეისბუქში დაწერა:

„ხუთასამდე ადამიანმა მომწერა, რომ მოხალისედ სურთ უკრაინაში წამოსვლა. ბევრი უპასუხოდ დავტოვე, ამიტომ აქ დავწერ საჯაროდ და ყველასთვის.

კარგად მესმის ყველას მოტივაცია, გულანთება და ჟინი, მაგრამ ყველას გირჩევთ, დაივიწყეთ აქ წამოსვლაზე ფიქრი თუ:

ა) არ გაქვთ საბრძოლო გამოცდილება (ავღანეთში და ერაყში სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობაც კი არ მიიჩნევა აქ საბრძოლო გამოცდილებად);

ბ) არ იცით ენა (რუსული ან ინგლისური);

გ) არ გაქვთ დამოუკიდებლად ჩამოსვლის საშუალება (ბილეთის შეძენა და სხვა);

დ) თუ ფიქრობთ, რომ მხოლოდ 2-3 კვირით გინდათ ჩამოსვლა;

აქ სულ სხვანაირი ომია და ძალიან ბევრი საქართველოდან ჩამოსული უკან გაბრუნდა ამის გამო. ჯობია, უკრაინას დავეხმაროთ და ტვირთად არ დავაწვეთ.“

## გიგი უგულავა: „არ შეიძლება სირაქლემასავით ყოფნა“



– ღარიბაშვილი გვეუბნება, რომ ომი კიევშია და უკრაინაში. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ბიჭები იღუპებიან – ვინმე უმრავლესობიდან ნახეთ, ერთი სამძიმრის სიტყვა რომ ეთქვა?! არ შეიძლება სირაქლემასავით იყო.

ამის შესახებ ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა გიგი უგულავამ პარლამენტთან განაცხადა, სადაც უკრაინაში დაღუპული ორი ქართველი მებრძოლის პატივსაცემად მოქალაქეები და პოლიტიკოსები შეიკრიბნენ.

როგორც უგულავა განმარტავს, უამრავი ქართველი უკრაინაში საქართველოსთვის იბრძვის, რათა ომის ცეცხლი საქართველოში არ წამოვიდეს.

– ერთადერთი, რაც შეიძლება გააკეთოს ჩვენმა სახელმწიფომ, რომელიც არსად ჩანს, არის ის, რომ ღირსეულად დაკრძალოს და მათ ოჯახებს მიხედოს. მიანიჭოს მათ წოდება, ის, რაც ეკუთვნით. ამას ითხოვს ჩვენი საზოგადოება.

ღარიბაშვილი გვეუბნება, რომ ომი უკრაინაშია.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ბიჭები იღუპებიან. გიჟი არავინ არის. ყველა საკუთარი ქვეყნისთვის იბრძვის, ეს ადამიანები საკუთარი ქვეყნისთვის დაიღუპნენ. უამრავი ქართველი საქართველოსთვის იბრძვის, საქართველოში რომ არ წამოვიდეს ომის ცეცხლი.

ეს ხალხი მკერდით ეფარება იმას, რომ ომი არ დაიწყოს. მთავრობა კი არც ცნობს ამ ადამიანებს. ეს დაუშვებელია, ოჯახებს მაინც მიხედეთ, თანაგრძნობის სიტყვა მაინც თქვით უმრავლესობამ. როგორ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება, წარმოუდგენელია.

ვინმე უმრავლესობიდან ნახეთ, ერთი სამძიმრის სიტყვა რომ ეთქვა?! არ შეიძლება სირაქლემასავით იყო. ეს ომი მოვა ჩვენთან, თუ ამ ბიჭებს, მათ ოჯახებს არ დავაფასებთ, ვინც იქ იბრძვის, – აღნიშნა უგულავამ.

## შალვა პაპუაშვილი: „რუსეთის აგრესიამ უკრაინაში 3 ქართველი მებრძოლი შეიწირა“



პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების დავით რატიანის, გია ბერიაშვილის და ბახვა ჩიქობავას ოჯახებს და ახლობლებს სამძიმარს უცხადებს.

„ჩვენი თანადგომა და მხარდაჭერა უკრაინელი ხალხის მიმართ ურყევია. ჩვენი მეგობრობა საუკუნოვანია და მჯერა, ის უფრო განმტკიცდება.

სამწუხაროდ, ომი გრძელდება და მსხვერპლი იზრდება.

რუსეთის აგრესიამ უკრაინაში სამი ქართველი მებრძოლი შეიწირა...

ვიზიარებ დავით რატიანის, გია ბერიაშვილის და ბახვა ჩიქობავას ოჯახების და ახლობლების მწუხარებას“ – წერს შალვა პაპუაშვილი ფეისბუქში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სალომე ზურაბიშვილი უფრო გამოადგება ქვეყანას, ვიდრე დაუშავებს"

## რამაზ საყვარელიძე: „პრეზიდენტს უფრო სწორი პოლიტიკური ალღო აღმოაჩნდა, ვიდრე „ოცნების" ლიდერებს"



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტი ზურაბიშვილი გიორგი მარგველაშვილის გზას გაუდგა? შეიძლება ის „ქართულმა ოცნებამ" მალე ოპოზიციონერად გამოაცხადოს?***

– პოლიტიკაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მით უფრო, ქართულ პოლიტიკაში. თუმცა, მე მაინც ასეთ პარალელებს ბოლომდე მაინც არ გავავლებდი. თითქოს მსგავსება გამოჩნდა პრეზიდენტ ზურაბიშვილისა და მარგველაშვილის ხაზში, მაგრამ სალომე ზურაბიშვილი უფრო საგარეო პოლიტიკაშია აქტიური. ის შეეცადა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს გარეთ დაეცვა. მე მგონი, კიდევ უფრო ხშირად მოუწევს ამის გაკეთება სალომე ზურაბიშვილს. ამ მხრივ პრეზიდენტმა ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია უდავოდ შეიძინა. აშკარაა, რომ ამ ფუნქციას სათანადოდ ვერ იყენებენ მმართველი გუნდის სხვა წევრები.

„ქართულ ოცნებას" შეეძლო, მას შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილი ევროპიდან დაბრუნდა, ყურადღება გაემახვილებინა მის ვიზიტებზე, იმ შეხვედრებზე, რომელიც ჰქონდა ზურაბიშვილს. ამაზე უნდა გაეკეთებინა აქცენტი და არა იმაზე, რომ კონსტიტუცია დაარღვია თუ არა. „ქართულ ოცნებას" პრეზიდენტის ეს დივიდენდი შეეძლო საკუთარ მონაპოვრად ექცია. ამას ვამბობ იმიტომ, რომ ვნახეთ, როგორი რეიტინგი აკრიფა სალომე ზურაბიშვილმა სწორედ მისი ამ პოზიციით, ამ ვიზიტებით, რომ ის ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე იდგა.

რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ ვიზიტებზე თანხმობა იმიტომ არ მივეცით, რომ მთავარსარდალი რთულ პერიოდში ქვეყანაში უნდა იყოს, ღმერთმა დაიფაროს და ასეთ დროს ორ საათში შეეძლო პრეზიდენტს უკან დაბრუნება. ურმით ხომ არ დავდივართ.

***– ფიქრობთ, ეს ინციდენტი ამოწურულია თუ შეიძლება დაპირისპირებამ უფრო მძაფრი სახე მიიღოს?***

– დღეს ეს ურთიერთობები ნამდვილად რთულად გამოიყურება. პოლიტიკაში სიყვარულისა და მოწონების ადგილი არ არის, პოლიტიკა პრაგმატულობის ხელოვნებაა, რისი მაგალითიც იყო თუნდაც ჩერჩილისა და სტალინის ურთიერთობა. ამიტომ, როდესაც პოლიტიკა ითხოვს, უნდა შეძლო თანამშრომლობა.

***– თქვენ ძალიან საინტერესო რამ ახსენეთ, რომ სალომე ზურაბიშვილს რეიტინგი გაეზარდა, რომ მეტი მომხრე გაუჩნდა.***

– დიახ, ეს ნამდვილად ასეა. ბევრად უფრო მეტი მომხრე გაიჩინა, ვიდრე აქამდე ყავდა. დღეს სალომე ზურაბიშვილის მიმართ ბევრად უფრო მეტი ადამიანი გამოხატავს თავის სიმპათიას, ვიდრე „ქართული ოცნების" ლიდერების მიმართ. სალომე ზურაბიშვილს სწორი პოლიტიკური ალღო აღმოაჩნდა, რასაც ვერ ვიტყვით „ოცნების" ლიდერებზე.

„ქართულ ოცნებას" თუ უნდა სწორად და რაციონალურად იმოქმედოს, მაშინ უკეთესია, არა საკონსტიტუციო სარჩელი მოამზადოს სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ, არამედ მხარი დაუჭიროს და წარმოაჩინოს, რომ ეს არის ხელისუფლების ყველა შტოს საერთო ხედვა და პოზიცია. ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო: ზურაბ ჟვანიას ყველა, როგორც მოაზროვნე და პრაგმატულ პოლიტიკოსს, ისე იცნობს. როდესაც ზურაბ ჟვანიამ დაინახა, რომ მიხეილ სააკაშვილს მასზე უფრო მეტი რეიტინგი ჰქონდა, ქვის სროლა კი არ დაუწყო, პირიქით, მასთან გაერთიანდა და საერთო მოქმედება დაიწყეს. თუმცა კი სააკაშვილს ზედმიწევნით კარგად იცნობდა.

სალომე ზურაბიშვილი უფრო გამოადგება ქვეყანას, ვიდრე დაუშავებს. და ეს აისახა მის რეიტინგშიც. ამ რეიტინგის გამოყენება შეეძლება „ოცნებას" არჩევნებში თუ, რასაკვირველია, რაციონალურად იმოქმედებს და სწორ გათვლებს გააკეთებს.

***– ნაციონალური მოძრაობის იდეაა, რომ პრეზიდენტმა ზელენსკიმ საქართველოს პარლამენტსაც მიმართოს. თუმცა, როგორც ოპოზიცია ამბობს, „ოცნებას" ეს არ უნდა. რატომ, როგორ ფიქრობთ?***

– უკვე გააკეთა ხელისუფლებამ მინიშნება. პირველი, მე მაინც მგონია, რომ ყველაფერი დაიწყო უკრაინის ხელისუფლების დამოკიდებულებით ქართული მართლმსაჯულების მიმართ. რბილად რომ ვთქვათ, ეს დამოკიდებულება აბსოლუტურად ლოიალურია. საქართველოს მართლმსაჯულების მიერ ძებნილები იქ მაღალ თანამდებობაზე ინიშნებიან, რაც აბსოლუტური უპატივცემლობაა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში. მეორე, პრეზიდენტმა ელჩი გაიწვია. ამ დაგროვილი მიზეზების ფონზე, ალბათ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ზელენსკისთან დიალოგის დიდი სურვილი არ ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას.

შეიძლება ფიქრობდნენ, რომ ამ მიმართვამ კიდევ ერთხელ დააზიანოს ხელისუფლების იმიჯი. კიდევ ერთი ფაქტორი, რომლითაც ხსნის „ქართული ოცნება" მის ამ პოლიტიკას. ისინი ერიდებიან, გაუწონასწორებელ რუსეთის პრეზიდენტს არ მისცენ ოდნავი საბაბიც კი, რომ რაიმე დაუშავოს საქართველოს. თან უკვე ღიად საუბრობენ ევროპის ლიდერები, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პრემიერი ჯონსონი, რომ თუ უკრაინაში ვერ გაიმარჯვებს პუტინი, შემდეგი მოლდოვა და საქართველო იქნებიან. ამიტომ, არ არის ხელისუფლების ეს პოზიცია გასაკვირი.

# „ღარიბაშვილი თუ ჩავა უკრაინაში, ყველაფერი გამოსწორდება"

## ვალერი ჩეჩელაშვილი: „ჩვენ არა გვაქვს იმის ფუფუნება, რომ არ შევუერთდეთ ფინანსურ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ"



**„ახალი თაობის" კითხვებს საქართველოს ელჩი უკრაინაში, სტრატეგიული ანალიზის ცენტრის წარმომადგენლობის წევრი ვალერი ჩეჩელაშვილი პასუხობს.**

ნონა ცაბაძე

***– ბატონო ვალერ, უკრაინაში მიმდინარე ომი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ვისმენთ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერების მკაცრ შეფასებებს რუსეთის მისამართით. ამ ფონზე ძალიან დიდი კრიტიკა ისმის ჩვენი ხელისუფლების მისამართითაც. რა პოზიცია უჭირავს საქართველოს ხელისუფლებას? რამდენად სახიფათო ვითარებაა შექმნილი ჩვენთვის?***

– რა თქმა უნდა, სიტუაცია არის ძალიან რთული, ტრაგიკული, უკრაინაში მიმდინარეობს სრულმასშტაბიანი ომი და ეს ომი ჩვენთვის არ არის უცხო ხილი. ვინც ახლა ფიქრობს, რომ ჩვენ ამ ომში არა ვართ ჩართულები, ცდება, ნამდვილად ვართ. ირიბად ეს ჩვენც გვეხება, დღეს ირიბად, მაგრამ არანაირი გარანტია არ არის საიმისოდ, რომ ჩვენ მიმართაც იყოს განვითარებული მსგავსი მოვლენები.

***– ამას რა გაფიქრებინებთ?***

– რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ პუტინის ბოლო ქმედებები მოწმობს იმას, რომ ეს ადამიანი აბსოლუტურად გავიდა რაციონალური აზროვნების ველიდან და მისი მოქმედებების წინასწარმეტყველება არის ძალიან რთული. ახლა რაც შეეხება ჩვენ რეაქციებს, ჩვენ ვიცით ჩვენი მთავრობის დამოკიდებულება ამ პრობლემების მიმართ, რაც გამოიხატება ფრაზაში, რომელიც პირველმა გამოთქვა პრემიერ-მინისტრმა, რომ საქართველო არ შეუერთდება რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებს და შემდეგ ეს ბატონმა ირაკლი კობახიძემაც გაიმეორა. მთავრობა გვეუბნება, რომ ჩვენ თუ შევუერთდით ამ სანქციებს, ჩვენ ეს ძალიან დიდ ფასად დაგვიჯდება და ამაში „ქართული ოცნება" არის მართალი. რა თქმა უნდა, სანქციებთან შეერთება ნიშნავს იმას, რომ შენ გარკვეული ფასი უნდა გადაიხადო და ამ ფასს იხდის დღეს ევროპაც და შეერთებული შტატებიც. თუმცა ამ სიმართლეს აქვს თავისი მეორე მხარეც. ეს მდგომარეობს იმაში, რომ შენ თუ არ შეუერთდები სანქციებს, ესეც ნიშნავს გარკვეული ფასის გადახდას.

***– ეს ფასი რაში მდგომარეობს და რამდენად მძიმე საფასური იქნება?***

– ამ საკითხზე საქართველოში იშვიათად ლაპარაკობენ. ის ფასი, რომლის გადახდაც ჩვენ მოგვიწევს თუ არ შევუერთდებით სანქციებს, არის როგორც პოლიტიკური ხასიათის, ასევე ეკონომიკური ხასიათის. პოლიტიკური ხასიათის ნიშნავს იმას, რომ ეს არ არის თანხვედრაში ჩვენი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების სისტემასთან. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დღეს ჩვენ გავაკეთეთ განაცხადი ევროკავშირში კანდიდატის სტატუსის მიღების თაობაზე. როდესაც ჩვენ ამ განაცხადს ვაკეთებთ და იმავდროულად ვამბობთ, რომ ჩვენ არ შევუერთდებით ევროკავშირის უმთავრეს ღერძულ კომპონენტს საგარეო პოლიტიკის, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირი პრაქტიკულად ყოველდღიურად ამკაცრებს საკუთარ სანქციებს რუსეთის მიმართ, ჩვენ რეალურად უნდა დავივიწყოთ ის, რომ ევროკავშირმა მოგვცეს დადებითი პასუხი ამ განაცხადთან დაკავშირებით. ეს არის პოლიტიკური ფასი, რომელსაც ჩვენ გადავიხდით.

***– ამის გამოსწორება რამდენად შესაძლებელია?***

– ამის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ მოვხვდებით ამ საგარეო პოლიტიკური მეინსტრიმის მთავარ კალაპოტში და ეს შეიძლება დაბრუნდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ დავაბრუნებთ ჩვენს ურთიერთობებს უკრაინასთან და ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორებთან იმ დონეზე და იმ ხარისხში შევიყვანთ, რისი ღირსიც არის ჩვენი ორივე სახელმწიფო და ხალხი. კონკრეტული პასუხი ამაზე კიდევ არის ძალიან მოკლე, ღარიბაშვილის ვიზიტი კიევში. რაც შეიძლება უფრო სწრაფად და უკეთესი იქნება თუ მოლდოველ კოლეგასთან ერთად.

***– რამდენად გაქვთ იმის მოლოდინი, რომ პრემიერი ღარიბაშვილი ჩავა კიევში?***

– მე ვამბობ, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ჩვენი განაცხადი, რომელიც ჩვენმა პრემიერმა გააკეთა, ეს განაცხადი მე ხომ არ გამიკეთებია?! ეს განაცხადი, კანდიდატის სტატუსზე, გააკეთა პრემიერმა. თუ პრემიერი ამას აკეთებს სერიოზულად, თუ ნამდვილად წარმოადგენს ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს, ამ მიზნის მიღწევას სჭირდება გარკვეული მოქმედებების გეგმა. სანქციებთან შეერთების გარეშე და უკრაინასთან ჩვენი იმ ძველ კალაპოტში დაბრუნების გარეშე, ეს არ გამოვა.

***– ეკონომიკური ფასი რაში მდგომარეობს? პოლიტიკურის გარდა, ეკონომიკური მხარეც ახსენეთ.***

– რაც შეეხება ეკონომიკურ მხარეს, ეკონომიკური ფასიც ექნება სანქციებთან არმიერთების პოლიტიკას და ეს რაში მდგომარეობს: ჩვენ, როგორც კი სანქციებზე უარი განვაცხადეთ, იმ წუთიდან მოვექეცით გამადიდებელი შუშის ქვეშ. ახლა ჩვენ ძალიან ყურადღებით გვაკვირდებიან დასავლეთის შესაბამისი ინსტიტუტები. ღმერთმა არ ქნას, ან რაიმე ფინანსური ტრანზაქციების დროს, ჩვენ დავარღვიოთ ეს ფინანსური ბლოკადა, რომელსაც ჩვენ შევუერთდით, ჩვენც ამის ნაწილი ვართ. ესეც უნდა ითქვას, რომ რაღაც სანქციებს ჩვენ ბუნებრივად შევუერთდით. ჩვენ არა გვაქვს იმის ფუფუნება, რომ არ შევუერთდეთ ფინანსურ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, ეს აბსოლუტურად წარმოუდგენელია. ღმერთმა დაგვიფაროს და თუ ვინმე შეეცდება, რომ რუსულ ბანკებს მისცეს საშუალება გვერდი აუაროს ამ სანქციებს, ამას ექნება დამანგრეველი ეფექტი ჩვენს საფინანსო სისტემაზე.

***– ხედავთ ამის რაიმე ნიშანს?***

– იმედი მაქვს, რომ ჩვენი ბანკირები ამას არ დაუშვებენ. ეს დაანგრევს ჩვენს საფინანსო სისტემას და ჩვენს ეკონომიკას. როდესაც შენ არა ხარ ამ სანქციების ნაწილი, როდესაც მთელი დასავლეთი და ყველა განვითარებული ქვეყანა ამ სანქციებს ახორციელებს, შენ ხვდები, გინდა თუ არ გინდა სხვა ბანაკში. აქედან გამომდინარე არის სერიოზული რისკი, რომ რაღაც ეკონომიკური ქმედებების გამო, შენს წინააღმდეგაც ამოქმედდეს ეს სანქციები. მე მესმის და ვხედავ, რომ დღეს ზოგიერთი რუსული კომპანია, რომელიც არის სანქცირებული, ახლა ცდილობს, ქართული არხებით, რაღაცნაირად თავი აარიდოს ამ სანქციებს. ეს არის ძალიან სახიფათო. უფრო მეტად სახიფათო კი ის არის, რომ ზოგიერთი ქართველი ბიზნესმენი, დღეს ამ ყველაფერში ხედავს შესაძლებლობას, რომ ბიზნესში მეტი დივიდენდები მოიპოვოს და დამატებითი მოგება ნახოს. მე მინდა გავაფრთხილო ყველა ეს ხალხი, ვინც ამაზე ფიქრობს, რომ ეს შესაძლებლობების ფანჯარა იქნება ძალიან ხანმოკლე და მერე შედეგები ამის, იქნება აბსოლუტურად დამანგრეველი და სასტიკი. შესაძლოა ის აწყობილი ბიზნესებიც დაკარგონ ამისთანა ქმედებების გამო. ნუ მიიღებენ ასეთ საეჭვო გარიგებებში მონაწილეობას. ეს არ არის ხუმრობა და თამაში, ეს არის სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა. ყველას ვაფრთხილებ, რომ ნუ დაიწყებენ შესაძლებლობების ძებნას მღვრიე წყალში. ქართველი საზოგადოება და განსაკუთრებით მისი ახალგაზრდული ნაწილი, რომელსაც უნდა ევროკავშირში და არა ევრაზიულ კავშირში, არ დაანგრევინებს საქართველოს რეპუტაციას საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. საქართველო არ არის იმის ღირსი, რომ ცალკეული პიროვნებების ეკონომიკურ ინტერესებს გადაყვეს და მოხვდეს სანქცირებული ქვეყნების რიცხვში.

**„დღეს ზოგიერთი რუსული კომპანია, რომელიც არის სანქცირებული, ცდილობს, ქართული არხებით თავი აარიდოს ამ სანქციებს. ეს არის ძალიან სახიფათო. ზოგიერთი ქართველი ბიზნესმენი კი ცდილობს, ამით ბიზნესში მეტი მოგება ნახოს"**

***– რით ხსნით თქვენ ხელისუფლების პოზიციას? ძირითადად საუბარია, რომ ეს არის არგაღიზიანების პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში. ასეა თუ რაიმე ქვეინტერესებიც შეგვიძლია რომ დავინახოთ? თუ ეს არის მხოლოდ შიშის ფაქტორიდან გამომდინარე?***

– არის თუ არა სხვა ინტერესი, მე ეს არ ვიცი და ვერც შევაფასებ. მე ვაცხადებ, რომ ეს არის პოლიტიკა, რომელსაც ექნება ძალიან სერიოზული ფასი. შესაძლოა ეს იყოს შიში, შეიძლება ეს იყოს ილუზია იმისა რომ ჩვენ რუსეთი არ გავაღიზიანოთ და მერე ორმხრივ ურთიერთობებში გადავწყვიტოთ ჩვენი პრობლემები და ასე შემდეგ. პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არის მიამიტობა. წარმოუდგენელია და შეუძლებელია. ერთადერთი საშუალება, რომ ჩვენ, ჩვენი ურთიერთობები და ჩვენი პრობლემები გადავწყვიტოთ რუსეთთან ურთიერთობებში, ეს იქნება მაშინ, როდესაც ზურგს გაგვიმაგრებენ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები. რომლებიც ჩვენთან ერთად იქნებიან ბრძოლის სწორ მხარეს.

***– უკრაინის ელჩი პრეზიდენტმა ზელენსკიმ გაიწვია საქართველოდან, ახლა ის კვლავ საქართველოშია. ეს ყოველივე რისი მანიშნებელია?***

– პრეზიდენტმა ზელენსკიმ, ძალიან კონკრეტული გზავნილები გამოუგზავნა საქართველოს მთავრობას. პირველი ის, რომ გაიწვია ელჩი და უფრო დაბალ დონეზე დაიყვანა ჩვენი ურთიერთობები. ეს არის დიპლომატიური დემარში. სამწუხაროდ, ეს პირველად მოხდა ჩვენი დიპლომატიური ისტორიის მანძილზე და სამწუხაროდ, მოხდა უკრაინასთან. ძალიან განვიცდი ამ ყველაფერს, მაგრამ ამასთან ერთად, გაწვეული ელჩი, ფიზიკურად იმყოფება საქართველოში. ესეც ძალიან კონკრეტული გზავნილია, ზელენსკიმ ელჩის გაწვევასთან ერთად ხელიც გამოგვიწოდა. ამით გვეუბნება, რომ როგორც კი დაბრუნდება ჩვენი ურთიერთობები ნორმალურ კალაპოტში, იმ წუთას დავაბრუნებ ელჩს თავის ადგილას.

***– პრეზიდენტ ზელენსკის ჩართვასა და საქართველოს პარლამენტისთვის მიმართვაზე უარი უთხრა ჩვენმა ხელისუფლებამ. ეს უარი რით აიხსნება?***

– ჯერ ერთი, არ ვიცი, უნდოდა თუ არა ზელენსკის ეს ჩართვა, იმიტომ, რომ არ არის ზელენსკი იმ ტიპის ლიდერი, დაჩოქილი ეხვეწებოდეს ვინმეს ჩართვაზე. უდიდესი მსოფლიოს პარლამენტები რიგში დგანან საიმისოდ, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „დღევანდელი რუსეთი არის ფაშიზმისა და კომუნიზმის ნაზავი“

## შოთა მალაშხია: „დამნაშავე რუსეთმა ზარალი უნდა აუნაზღაუროს უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას“

მარიამ მჭედლიშვილი

**უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებულ სისხლიან სამხედრო ავანტიურასა და ამის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.**



**შოთა მალაშხია:**

– კრემლს ჩანაფიქრი ჩაუვარდა. პუტინი გეგმავდა უკრაინის ორ, მაქსიმუმ, სამ დღეში აღებას. მისი გათვლა ასეთი იყო – რუსეთის 150.000-იანი ჯარი ადვილად მოერევა უკრაინის 50.000-იან არმიას, ამისთვის ადრინდელივით მსუბუქი სანქციები დაგვედებაო. სამ კვირაზე მეტია, ცოდვილობს და მიზანს ვერ მიაღწია. ყველას პროგნოზი ისეთი იყო, რომ რუსეთი ჩაატარებდა სწრაფ, ელვისებურ ოპერაციას. დასავლეთშიც ასე ფიქრობდნენ. კრემლს ეგონა, რომ გაიმეორებდა იმას, რაც გაუვიდა საქართველოში, შემდეგ – უკრაინის ყირიმსა და დონბასში. ის წააწყდა იმას, რასაც არ ელოდა. არც სხვებს ეგონათ, რომ ასე განვითარდებოდა მოვლენები.

***– რამ განაპირობა მოვლენების ასე განვითარება?***

– უკრაინელი ხალხის პატრიოტობამ, გამბედაობამ, მეხსიერებამ, მობილიზაციამ. ეტყობა, უკრაინელების ბუნება და ისტორიული მეხსიერება არც კრემლში იცოდნენ და არც – დასავლეთში. მათ ვერ განსაზღვრეს, რა შეუძლია უკრაინელ ხალხს. უკრაინელების ისტორიული მეხსიერება მტკიცეა. ამაზე ჩემს ფილმებშიც ვლაპარაკობ.

***– დოკუმენტური ფილმები უკრაინის ისტორიის მძიმე მომენტებსაც მიუძღვენით. ამას გულისხმობთ?***

– 17 ფილმიდან ერთი მიძღვნილია უკრაინის „გოლოდომორის“, ერთი ორსერიანი ფილმი კი – ზოგადად უკრაინის ისტორიისადმი. „გოლოდომორით“ (შიმშილით) ამოხოცეს 6 მილიონი უკრაინელი. ფილმებში საუბარია უკრაინელების ისტორიულ მეხსიერებაზე. უკრაინელები შეძლებისდაგვარად ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და იჩენდნენ პატრიოტიზმს. ამას გადაჰყვა ცეკას ერთი მდივანი, ასევე 24 თანამდებობის პირი. უკრაინელები თავსაც სწირავდნენ, ძეგლებთან თავს იწვავდნენ. აი, ესაა იმის მთავარი მიზეზი, რომ პუტინი ასე გაწვალდა.

***– ამას საერთაშორისო ძალისხმევა დაემატა?***

– რასაკვირველია. რუსეთს თითქმის მთელმა მსოფლიომ მკაცრი სანქციები დაადო. იმაზე ბევრად მკაცრი, ვიდრე პუტინი წარმოიდგენდა. საერთაშორისო საზოგადოება, სახელმწიფოები ეხმარებიან უკრაინას უახლესი შეიარაღებით, ფულით და ა. შ. ეს შეიარაღება თანამედროვეა და ბევრად აღემატება რუსეთის მოძველებულ, მეოცე საუკუნის შეიარაღებას. აშშ-ის სენატმა პუტინი აღიარა სამხედრო დამნაშავედ და გამოაცხადა, რომ ის უნდა გასამართლდეს. მის დანაშაულზე უკრაინაში მსჯელობენ ჰააგის საერთაშორისო სასამართლო და სისხლის სამართლის სასამართლო. რუსეთის რეჟიმი (პუტინი იქნება სათავეში თუ სხვა), უნდა გასამართლდეს! – ამას ვამბობდი იმ ფილმებში, რომელთა დიდი ნაწილი 12 წლის წინა გადავიღეთ. უკრაინის შესახებ ფილმი 2020 წელსაა გადაღებული. მას ჰქვია „თქვენ ვალდებული ხართ“.

***– ფიქრობთ, რომ რუსეთში სისტემაა დანაშაულებრივი?***

– ეს არის დამნაშავე რეჟიმი. ისეთივე, როგორიც იყო ფაშიზმი და კომუნიზმი. ფაშიზმი გასამართლდა, კომუნიზმი – არა. ამის შედეგებს ვიმკით.

***– რუსეთის ფედერაცია ვერ გამოვიდა კომუნიზმის ტყვეობიდან?***

– კომუნიზმი არავის გაუსამართლებია. დღევანდელი რუსეთი არის ფაშიზმისა და კომუნიზმის ნაზავი. გერმანიამ ფაშიზმზე პასუხი აგო და გადაიხადა კონტრიბუცია. დამნაშავე რუსეთმაც უნდა გააკეთოს იგივე. დამნაშავე რუსეთმა ზარალი უნდა აუნაზღაუროს უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას. მან ამ სახელმწიფოებს ტერიტორიები წაართვა, ხალხი დაუხოცა და დააზარალა.

***– აფხაზეთის ომის დროს მოსახლეობისთვის მიყენებულ ზარალზე ადრეც ყოფილა საუბარი, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.***

– როცა ვიყავი პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის კომისიის თავმჯდომარე, მაშინ მივიღეთ ორი რეზოლუცია. ერთი ეხება ზარალის დათვლა-აღწერას, მეორე – „ჩემი სახლი“ – დევნილების ქონების აღწერას, რათა შემდეგ გაადვილდეს მისი დაბრუნება.

***– დათვალა მთავრობამ ეს ზარალი?***

– არა. 2008 წელს ომი დაიწყო და ეს ვერ განხორციელდა. ახლაც შესაძლებელია ამის გაკეთება. იანუკოვიჩის დროს განვითარებულ მოვლენებს შეეწირა 100 უკრაინელის სიცოცხლე. ამ ზეციური 100 უკრაინელის სისხლმა, ამ მსხვერპლმა გაწმინდა უკრაინა საბჭოთა ნაგვისაგან. ამ ადამიანებმა უკრაინა გაწმინდეს.

***– რუსეთის შეჭრის შემდეგ უკრაინაში 100-ზე მეტი ბავშვი დაიღუპა.***

– ყველაზე საშინელება ეს არის. ერთია, როცა იღუპება მტერთან საბრძოლველად გამოსული ზრდასრული, მეორეა, როცა ბომბს და ტყვიას ეწირებიან პატარა ბავშვები. ეს ბავშვები არიან უკრაინისათვის შეწირული ანგელოზები. რუსეთი ამ საზარელ ომში დამარცხებულია. მსოფლიო ომების დროს რუსეთს ყოველთვის ჰყავდა მოკავშირეები.

***– ღირსეული მოკავშირეები.***

– დიახ. ახლა რუსეთი მარტოდმარტოა. პუტინის მოკავშირეა კადიროვი.

***– ჩინეთი ამ სიტუაციაში რუსეთის მოწინააღმდეგედ არ მიიჩნევა.***

– რაღაცაში ჩინეთი მხარს უჭერს, მაგრამ საბოლოოდ ჩინეთი პოზიციას შეიცვლის. ის მიხვდება, რომ მასაც რუსეთივით ყველა მოიძულებს. რუსეთი ომს აგებს. ყველაფერი იცვლება. ეს ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

***– ჟენევის მოლაპარაკებები რომ ამჟამად ვერ გაიმართა, ეს გასაკვირი არ არის. რა მოხდება მომავალში? ომის დამთავრების შემდეგაც ჩაიშლება ჟენევის დისკუსიები? ერთ-ერთი მონაწილე რუსეთია.***

– რუსეთი არის სამხედრო დამნაშავე. ის ამის გამო დაისჯება. მას მოუწევს სიარული საერთაშორისო სასამართლოებში. ასეთ სიტუაციაში ის ვერ უნდა წარმოადგენდეს მხარეს ასეთ მოლაპარაკებებში.

***– რამდენიმე დღის წინ რუსეთმა გააფორმა რუსული პასპორტების გაცემის გამარტივება ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის. იმავეს აპირებს აფხაზეთის მოსახლეობის მიმართ. ომის დროს ამისთვის იცლიან?***

– რუსული პასპორტები ამ რეგიონებში ვერაფერს შეცვლის. ეს გადაწყვეტილება ადრინდელია. მსოფლიო უკვე სხვაა. რუსეთი სრულ აგონიაშია. ამიტომ იღებს ამ გადაწყვეტილებებს. ვერ ხედავთ, რა შიზოიდური გამოხდომები აქვთ? – რუსები იმუქრებიან, რომ დაიპყრობენ ბულგარეთს, პოლონეთს, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს.

***– რუსული მედია ასევე იმუქრება თბილისის დაბომბვით ლუგარის ლაბორატორიის გამო.***

– ესეც აგონიის ნიშანია. რის აღებასაც სამ დღეში აპირებდნენ, სამ კვირაში ვერ აუღიათ და სხვებსაც ემუქრებიან?! ეს ავადმყოფობაა. რუსეთს სანქციები ჯერ ახალი დაწესებულ აქვს და ეკონომიკა დაემხო. 300-დოლარიანი პენსია 100-დოლარიანად იქცა. ისედაც არ იყო რუსეთი წარჩინებული სახელმწიფო.

***– ვრცელდება კომენტარები იმის შესახებ, რომ ომის დამთავრების შემდეგ რუსეთს ბევრ სანქციას მოუხსნიან. ერთადერთი, ოლიგარქები ვერ დაიბრუნებენ ჩამორთმეულ აქტივებს.***

–არა. ასე არ მოხდება. მსოფლიო უკვე შეიცვალა. რუსეთს მიუჩენენ იმ ადგილს, რომელიც დაიმსახურა. დამნაშავე რეჟიმი დაისჯება. ჩვენს ტერიტორიებს, რომლის ოკუპაცია მოახდინა რუსეთმა, ჩვენ მოვუვლით. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შევა ინვესტიციები. ჩვენ დავიცავთ აფხაზებისა და ოსების თვითმყოფადობას. ისინი შეინარჩუნებენ კულტურასა და ენას. არ მოხდება ისე, როგორც რუსეთის ხელში არიან. ვისაც რუსული პასპორტი არ ეთმობა, ვინც დამნაშავეა, ან – საბჭოთა მენტალიტეტს მისტირის, ის რუსეთში წაბრძანდეს. მათი ქონება მოხმარდება კონტრიბუციას. ზარალის სრული ანაზღაურებისთვის ეს საკმარისი არ იქნება. რუსეთმა ჩვენ, ასევე უკრაინასა და მოლდოვას, ზარალი უნდა აგვინაზღაუროს. რუსეთი ისედაც არ შედიოდა ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების ათეულში. სანქციების შედეგად ის საერთოდ გაკოტრდა. რუსეთის სამხედრო ბიუჯეტიც არ არის შთამბეჭდავი. აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი აღემატება 10 მომდევნო სახელმწიფოს ერთად აღებულ ბიუჯეტს. უკრაინაში ქართველებიც იღუპებიან. ისინი უკრაინისთვისაც იბრძვიან და საქართველოსთვისაც. თავის დროზე საქართველოში ჩვენს მხარეს იბრძოდნენ უკრაინელები. ისინიც ორივე ქვეყნისთვის ღვრიდნენ სისხლს. ამიტომ დავარქვი ფილმს „თქვენ ვალდებული ხართ“. 2008 წლის 11 აგვისტოს, პარლამენტში გამოსვლისას გავიხსენე მაიაკოვსკის ლექსი საბჭოთა პასპორტის შესახებ. მაშინ ვთქვი, რომ მალე რუსული პასპორტის გამოჩენა დიდი სირცხვილი იქნება. ეს დრო დადგა.

# მეუფე ნიკოლოზი: „რუსეთი არის ოკუპანტი!“



ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი მეუფე ნიკოლოზი რუსეთ-უკრაინის ომს ეხმიანება და მას ჯოჯოხეთს უწოდებს.

სასულიერო პირი პირდაპირ ამბობს, რომ რუსეთი ოკუპანტია.

– ზეციური და მიწიერი ეკლესია დღეს მთლიანად ლოცულობს იმისთვის, რომ დამთავრდეს ეს ომის ჯოჯოხეთი. ომი არის ნამდვილი ჯოჯოხეთი დედამიწაზე და ეს უნდა დასრულდეს. ამისთვის ვლოცულობ, პირველ რიგში, რომ დამყარდეს მშვიდობა.

თქვეს თვითონ უკრაინელებმა, რომ ყველაზე მეტად ვისაც შეუძლია ამის გაგება, სწორედ საქართველოა. ეს არ არის 2008 წლის ომი მარტო, როდესაც ჩვენ განვიცადეთ ჩვენი მეზობელი რუსული ქვეყნისგან აგრესია და ოკუპაცია. საქართველოს ეკლესია ყოველთვის ამბობდა, დღესაც ამბობს და თქვენ თვალწინ გავიმეორებ, რუსეთი არის ოკუპანტი, – თქვა მეუფე ნიკოლოზმა.

# უკრაინაში დაღუპულ 2 ქართველს საქართველოში პოლონეთიდან გადმოასვენებენ

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, მუდმივი წარმომადგენელი სუამ-ში გიორგი ზაქარაშვილი საქართველოს მოქალაქეების უკრაინიდან ევაკუაციაზე საუბრობს და ამბობს, რომ დაახლოებით 2.000 საქართველოს მოქალაქე უკვე გაყვანილია სხვადასხვა მიმართულებით. მან ასევე გარდაცვლილ ქართველ ჯარისკაცებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაღუპულ 2 სამხედროს ჯერ ლვოვში, შემდეგ კი – პოლონეთიდან საქართველოში გადმოასვენებენ.

– ტექნიკური მხარე ფაქტობრივად ყველაფერი დალაგებული და გარკვეულია. მოხდება ვარშავაში ცხედრების გადასვენება, სადაც უკვე პოლონეთში ჩვენი საელჩო ჩაერთვება და მოხდება საქართველოში გადაყვანა სავარაუდოდ თვითმფრინავით, – განაცხადა გიორგი ზაქარაშვილმა.

# თეა ქუთათელაძე: „მთავრობის შეცდომის გამო ჟოლო მთლიანად განადგურდა, მაყვალი კი დასუსტდა“

– ჟოლოსა და კენკრის მწარმოებელი ფერმერების დიდი ნაწილი გაკოტრდა, ბაღები გაჩეხა ან მიატოვა.



ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ ფერმერმა, თეა ქუთათელაძემ განუცხადა.

მისი თქმით, მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან არასწორი საპროექტო პირობები იყო. არასწორად შერჩეული რეგიონი, დაზიანებული ნერგები და სარწყავი წყლის არარსებობა.

– პროექტის „დანერგე მომავალის“ ფარგლებში კენკრის ბაღების გაშენება თავიდანვე მოხდა არასწორად. პროექტითვე იყო გათვალისწინებული, რომ მარნეულში უნდა ყოფილიყო გაშენებული, იქ, სადაც კლიმატს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაუძლებდა.

გვთხოვდნენ მიწის ანალიზის პასუხებს, რამდენად შეთავსებადი იყო ლანდშაფტთან კულტურები და ესეც წარვადგინეთ, მაგრამ იქაც დიდი შეცდომები დაიშვა. რეკომენდაცია მოგვცეს, გაგვეშენებინა, როგორც შემდეგ გაირკვა, მიუხედავად არა თავსებადობისა. ლიმონი რომ გორში გააშენო, იგივეა. ამას დაემატა ტექნიკური მხარეები, ღია გრუნტში უნდა მოგვეყვანა და, შესაბამისად, ვერ გაუძლო ვეგეტაცია შეწყვიტა და განადგურდა ბაღები.

მიუხედავად ამისა, პიარი არ შეწყვიტეს და ხალხი აშენებდა ბაღებს. პირველივე წელს ბაზარი გაჯერდა. როცა სამინისტროს ამის შესახებ ვუთხარით, რომ ფერმერები უკვე ვეღარ ვახდენდით რეალიზაციას, ისინი აგრძელებდნენ და მეტიც, 100%-იანი საგრანტო პროგრამა დაამატეს.

შესაბამისად, პროექტის არასწორმა პირობებმა და ჭარბმა მოსავალმა ბაზრის განადგურება დაიწყო. იმის სურვილით, რომ პროექტი წარმატებულად წარმოეჩინათ, ხალხი დაღუპეს.

პრობლემა იყო სარწყავი წყალი. პროექტის მიხედვით, 500 მეტრში უნდა ყოფილიყო. ეს პირობა ყველამ დავაკმაყოფილეთ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ეს თეორიული დაშვება იყო და სინამდვილეში, იმ არხებში წყალი არ არის და შემდეგი 5 წელიც არ იქნება. ტენდერი დღემდე არ გამოცხადებულა. ჭაბურღილის გაკეთება კი, ის თანხა ღირს, რასაც ფერმერი ვერ ამოიღებს.

შედეგად, ჟოლო მთლიანად განადგურებულია, მაყვალი კი დასუსტებული. მთავარი პრობლემა თავში იყო, ნერგები რაც მოგვცეს, ნერგის ამონაყარი იყო. მთავარი მასალა იყო არასწორი. სანერგეები ჯერ კიდევ არ არიან მწყობრში და ალბათ, 5-10 წელი დასჭირდება ამის გამართვას. ანუ უკულმა დაიწყეს. ვისაც ვიცნობ, უმეტესობამ ბაღები გაჩეხა ან მიატოვა, რადგან გაჩეხვაც ფინანსებთანაა დაკავშირებული.

ალბათ, 1-2 ბაღი არსებობს. კენკრის ასოციაცია აწარმოებს კვლევას და მათი თქმით, 200-ზე მეტი ფერმერი გამოიკითხა, გაჩეხილია მაყვლის ბაღების 28% და ჟოლოს ბაღების 20%. ახლა, საკითხავია, რამდენია მიტოვებული“ – განაცხადა თეა ქუთათელაძემ „ბიზნესპრესნიუსთან“.

# „ღარიბაშვილი თუ ჩავა უკრაინაში, ყველაფერი გამოსწორდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ზელენსკიმ მიმართოს დეპუტატებს და ფეხზე ამდგრები ტაშს უკრავენ. ძალიან სამწუხაროა, რომ დღევანდელმა პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო. მე ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნებოდა, გამოსულიყო და ზელენსკის დამოკიდებულება გაგვეგო საქართველოსთან მიმართებაში. თუ ყურადღებით გავაანალიზებთ მის გამოსვლებს, ეს არ არის ტრაფარეტული გამოსვლები. ის კონკრეტულ აუდიტორიას კონკრეტული ტონალობით ელაპარაკება. მე ამ კონტექსტში ძალიან მაინტერესებდა მისი გამოსვლა. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა და გაუგებარია, რატომ მოხდა ასე.

***– რამდენად სერიოზული საფრთხე ელოდება საქართველოს რუსეთის მხრიდან? ხედავთ ამ საშიშროებას?***

– რა თქმა უნდა, ვხედავ ამ საშიშროებას. განცხადებებიც არის უკვე, ვიღაც „პროფესორები“ აცხადებენ, რომ სარაკეტო დარტყმა უნდა განახორციელოს რუსეთმა ლუგარის ლაბორატორიაზე და ა.შ და ა. შ. იცით რაშია სამე? ამ ათი წლის განმავლობაში ჩვენ ამ ყველაფრისათვის უნდა მოვმზადებულიყავით. დღეს ჩვენ უნდა ვიცოდეთ, შეგვიძლია რუსეთს გავუწიოთ სამხედრო წინააღმდეგობა?!

***– საერთოდ, რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი თავდაცვა?***

– საინტერესოა, რა მდგომარეობაშია. მე და თქვენ, როგორც გადასახადების გადამხდელები, ყოველ წელს, დაახლოებით ერთ მილიარდ ლარს ვიხდით ჯარის გაძლიერება-შენახვაში. ამასთან ერთად არის მთელი რიგი პროექტები და პროგრამები, რომლითაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ჩვენ გვეხმარებიან. რამდენად აქტიურად ვმუშაობთ ამაზე, რამდენად არის მზად ჩვენი ჯარი, ან რა შესაძლებლობები გვაქვს, რა რესურსები გვაქვს? გასაგებია, რომ არის სამხედრო თემები, რომელსაც ასე ღიად ვერ იტყვი, მაგრამ მოსახლეობა იმას მაინც ვიმსახურებთ, რომ გამოვიდეს თავდაცვის მინისტრი ან გენერალური შტაბის უფროსი და გვითხრას, მზად არიან დაიცვან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი გვესმის. მე ვფიქრობ, არის ღირსი საზოგადოება იმისა, რომ აგვიხსნან რეალობაში რა ხდება და რას აკეთებენ. ხომ ძალიან კარგად გვესმის ყველას, რომ ჩვენ, მარტო დარჩენილი ერთი ერთზე, რუსეთთან არანაირი შანსი არა გვაქვს. ჩვენ კი არა, უკრაინასაც არ ექნებოდა არანაირი შანსი, მარტო რომ დარჩენილიყო. უკრაინამ თავისი თანმიმდევრულობით, პრინციპული პოლიტიკით მოიპოვა დასავლეთის ნდობა, მათ შორის ნატოსი და ევროკავშირის. დღეს უწყვეტი ნაკადით მიედინება რესურსები. დღეს უკრაინაში ინვესტიციებს დებენ, იმიტომ, რომ სჯერათ უკრაინის პრეზიდენტის და მისი მთავრობის. ეს ერთბაშად არ მომხდარა. ეს არის თანმიმდევრული პოლიტიკის დამსახურება. ჩვენც გვექნება ამის შანსი თუ ჩვენ ვიქნებით ბარიკადების სწორ მხარეს და თუ ჩვენ გვერდში გვეყოლება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები.

# „ორსული ცოლის მკვლელობისთვის დაკავებული გოგა გზირიშვილი ნარკოტიკებს მოიხმარდა“

## რას ყვება დაკავებულის მამა



ორსული ცოლის, ქეთა კეპულაძის, განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობაში ბრალდებულ გოგა გზირიშვილის მამის, გოჩა გზირიშვილის, ჩვენების თანახმად, მისი შვილი ნარკოტიკულ საშუალებას – მარიხუანას მოიხმარდა და ჰალუცინაციები ჰქონდა.

როგორც გზირიშვილმა განმარტა, მკვლელობამდე გარკვეული პერიოდით ადრე, მან შვილს ფსიქიკური პრობლემები შენიშნა და ექიმთან წაიყვანა. მოწმის თქმით, შვილის ქცევებში არაადეკვატურობას ხედავდა.

გზირიშვილმა სასამართლო პროცესზე დეტალურად ისაუბრა შემთხვევის დღეზე. მისივე თქმით, მკვლელობის დღეს მას მეორე შვილი მასწავლებელთან ჰყავდა წაყვანილი, როდესაც მეზობლებმა დაურეკეს და უთხრეს, რომ უბედური შემთხვევა მოხდა.

ბრალდებულის მამის ჩვენების მიხედვით, მან შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე, ორსული რძალი შვილს გაარიდა და დეიდასთან წაიყვანა.

– რადგან გოგა წამლებს სვამდა, გამოვარიდე, იმის გამო კი არა, რომ იჩხუბეს. უბრალოდ, გავარიდე, დისტანციურად რომ იქნება, დაწყნარდება, თან ორსულმა არ ინერვიულოს-მეთქი. აფორიაქება, უძილობა ჰქონდა, შიშებიც ჰქონდა – ფარდას გაწევდა, კარს გააღებდა და იხედებოდა ხოლმე, – განაცხადა გზირიშვილმა.

მისი განმარტებით, ბრალდებული მარიხუანაზე დამოკიდებული იყო.

– 80% ამ მოსაწევს ეწევა, ყველაზე ერთნაირად ხომ არ მოქმედებს? კონკრეტულად მარიხუანას ეწეოდა. როგორც მერე გავარკვიე, დიდი ხანია, რაც ეწევა. ჰალუცინაციები ჰქონდა, გიჟივით დადიოდა, დარბოდა. სანამ პრობლემას შევამჩნევდი, ბავშვს გულში იხუტებდა, მერე იყო მომენტი, როცა ბავშვი წაიქცა და ყურადღება არ მიაქცია, იყო მომენტი, როცა ბავშვი წაიქცა, აიყვანა და ქეთის უყვიროდა, რატომ არ აქცევ ყურადღებასო.

მეუღლემ მითხრა, ქეთიც ამჩნევს, რომ გოგა შეიცვალა და გთხოვ, მიხედეო და ამის მერე წავიყვანე ექიმთან. გოგას რამდენჯერმე ვთხოვე ექიმთან წასვლა, არ ვარ გიჟიო, მეუბნებოდა, მერე დამთანხმდა. ექიმს ვუთხარი, არაადეკვატურია-მეთქი. 3 დასახელების წამალი – დამამშვიდებლები გამოუწერა, ერთთვიანი კურსი იყო.

გოგას ყველაფერი აღიზიანებდა, დამამშვიდებლებს სვამდა, მაგრამ მაინც ყველაფერი აღიზიანებდა, ეუბნებოდა ქეთას, წადი ცოტა ხანი, გამეცალეო. ფიზიკური შეურაცხყოფა გამორიცხულია, არასდროს ყოფილა. ჩემი რძალი იგივე შვილი იყო, არავითარი ეჭვიანობა არ ყოფილა. გოგას მეგობრებს ვთხოვე, მოწევა იქნება თუ დალევა, მოერიდეთ, გოგას წამლებს ვასმევ-მეთქი, – განაცხადა გზირიშვილმა.

ბრალდებისა და დაცვის მხარის შემდეგ, მოწმეს კითხვებით მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემაც მიმართა.

მოსამართლე დაინტერესდა, შესწრებია თუ არა მამა შვილის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას, რაზეც გზირიშვილმა განაცხადა, რომ შესწრებია. მოსამართლემ ასევე ჰკითხა, მარიხუანას გარდა, მოიხმარდა თუ არა ბრალდებული სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, მაგალითად, ე.წ. ბიოს, რასთან დაკავშირებითაც მოწმემ ჯერ აღნიშნა, რომ ისიც მარიხუანასავითაა, მოსამართლის რეპლიკის შემდეგ, რომ „ბიოს“ მოქმედება 20-25-ჯერ ძლიერია, გზირიშვილმა აღნიშნა, რომ მისი შვილი, შესაძლოა, აღნიშნულ ნივთიერებასაც მოიხმარდა.

ჩხიკვაძემ მოწმეს ასევე ჰკითხა, თამაშობდა თუ არა დაკავებული აზარტულ თამაშებს, რასთან დაკავშირებითაც გზირიშვილმა უპასუხა, რომ „ბოლო პერიოდში მიეძალა“.

ბრალდებულ გოგა გზირიშვილს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა. აღნიშნულ დასკვნას ბრალდების მხარე უახლოეს პერიოდში ელოდება.

ცნობისთვის, 22 დეკემბერს, თბილისში, ბრალდებულმა გოგა გზირიშვილმა, განზრახ მოკვლის მიზნით, დანით ორსულ მეუღლეს – ქეთა კეპულაძეს განსაკუთრებული სისასტიკით, სხეულის სხვადასხვა არეში 30 ჭრილობა მიაყენა.

მიყენებული დაზიანებების შედეგად ორსული კეპულაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

გზირიშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, ოჯახის წევრის მიმართ, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გოგა გზირიშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ სრულად ცნობს.

# გლდანში ძმის შვილიშვილმა 82 წლის ქალი მოკლა და ტელევიზორი ლომბარდში წაიღო



სამართალდამცველებმა თბილისში ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს პირი, რომელმაც 82 წლის ქალი ჯერ ბასრი საგნით მოკლა, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარს ცეცხლი მოუკიდა.

როგორც მეზობლები „კურიერთან“ ამბობენ, გარდაცვლილს ზურგის არეში ჰქონდა ცეცხლი მოკიდებული, სწორედ იქ, სადაც ბასრი საგნით ჰქონდა სასიკვდილო ჭრილობები მიყენებული. მეზობლების ვერსიით, ახალგაზრდა მამაკაცს გარდაცვლილის სახლის ინტერესი ჰქონდა.

– გვეძინა, როცა ავდექით, უკვე მოსული იყო სასწრაფო და სახანძრო. დიდი დაკვამლიანება იყო, ვერ პოულობდნენ, საიდან მოდიოდა კვამლი. ბოლოს, მეორე სართულზე რომ აკაკუნებდნენ, შემთხვევით ჩამოწიეს მეორე სართულზე არსებული კარის სახელური, როცა სამაშველო შევიდა, ქალბატონი ეგდო პირქვე და ცეცხლი ეკიდა.

გასაქურდი არც არაფერი ჰქონდა, მარტოხელა ქალი იყო, მაგრამ ძმისშვილები და დისშვილები პატრონობდნენ, მოდიოდნენ ხოლმე, მიტოვებული არ ჰყავდათ, უბრალოდ, მარტო ცხოვრობდა. ვინც დააკავეს, ეს არის ერთ-ერთი ძმის შვილიშვილი, – ამბობს მეზობელი.

ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ნ.ნ. ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, გლდანში, ნათესავ ქალს – 1940 წელს დაბადებულ დ.ნ.-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, ბასრი საგნით სხეულზე დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა. მძიმე დანაშაულის შემდეგ ნ.ნ.-მ ბინიდან ტელევიზორი წაიღო და ლომბარდში ჩაბარებას შეეცადა, თუმცა ვერ შეძლო. იგი კვლავ შემთხვევის ადგილზე დაბრუნდა, კვალის დაფარვის მიზნით ცხედარს ცეცხლი მოუკიდა და მიიმალა.

პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნ.ნ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ანგარებით ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# პატრულმა გელა კვაშილავამ ტვ პირველს სასამართლო სააპელაციოშიც მოუგო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ტელეკომპანია „პირველს“ გავრცელებული ცრუ ინფორმაციის უარყოფა და პატრულ-ინსპექტორისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება დაევალა.

ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„გასულ წელს ტელეკომპანია „პირველმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ათეულის მეთაური გელა კვაშილავა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადატანაში დაადანაშაულა, ასევე, ამავე ტელეკომპანიამ გამოაქვეყნა მისი სურათი, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა სიუჟეტის ავტორს განუმარტა, რომ იგი არასწორ ინფორმაციას ფლობდა. სააპელაციო სასამართლო განხილვის შემდეგ, სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ გელა კვაშილავას ნარკოტიკების ტრანსპორტირებასთან შემხებლობა არ ჰქონდა, ტელეკომპანია „პირველმა“ კი იცოდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია მცდარი იყო და საზოგადოება შეცდომაში შეგნებულად შეიყვანა“ – აღნიშნულია განცხადებაში.

# გორის სასამართლომ მკვლელობაში ბრალდებული ბერ-მონაზონი ანტონ მაისურაძე გაამართლა

გორის სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა ბერ-მონაზონის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს.

„ქართლის“ ცნობით, ანტონ მაისურაძეს იცავდნენ ადვოკატები მარიამ ცინცაძე, გოჩა გოჩიტაშვილი და ნოდარ ცინცაძე. ბრალდებულს შვიდიდან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

დაცვის მხარე ამტკიცებდა, რომ განზრახ მკვლელობას ადგილი არ ჰქონდა, რადგან ბრალდებული თავს იცავდა.

ბერი ანტონი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 2021 წლის 7 აგვისტოს დააკავეს.

პროკურატურის ვერსიით, 2021 წლის 6 აგვისტოს, ბორჯომში, ინგოროყვას ქუჩაზე, ბრალდებულსა და 1984 წელს დაბადებულ, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ ლევან ნამგალაძეს შორის მოხდა კონფლიქტი, რომლის დროსაც ლევან ნამგალაძემ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა, ხოლო ბრალდებულმა მას ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მისვლის შემდეგ გარდაიცვალა. პროკურატურის ცნობით, ნივთმტკიცებად ამოღებული იყო „აკ 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

2021 წლის 7 აგვისტოს საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სასულიერო პირი წალკის სოფელ ბერთას მამათა მონასტერში 2008 წლიდან მსახურობდა, თუმცა რამდენიმე წელია, თვითნებურად დატოვა მონასტერი.

# კაფეში „ფორმულას“ ჟურნალისტების ცემისთვის 1 პირი დააკავეს

თბილისში, ვაკეში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე ერთ-ერთ კაფეში ინტერვიუს ჩაწერისას, „ფორმულას“ გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ. ნაცემია ფორმულას 2 ოპერატორი, ფიზიკური დაზიანებები აქვს ჟურნალისტ ნანო ჩაკვეტაძესაც.

როგორც ნანო ჩაკვეტაძე ყვება, ისინი კაფესთან წერდნენ რესპონდენტს, როდესაც ერთ-ერთმა იქ მყოფმა სტუმარმა „ფორმულას“ თანამშრომლის მიმართ აგრესია გამოხატა.

ჟურნალისტი ამბობს, რომ აგრესია მას შემდეგ წამოვიდა, რაც თავდამსხმელმა გაიგო, რომ ისინი „ფორმულაზე“ მუშაობდნენ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ტელეკომპანია „ფორმულას“ გადამღები ჯგუფისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

როგორც უწყებაში განმარტავენ, ბრალდებულმა თბილისში მდებარე ერთ-ერთ ბარში „ფორმულას“ თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ბარის დატოვება მოსთხოვა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

როგორც ბრიფინგზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელმა კოკა კაციტაძემ განაცხადა, შესაძლებელია, რომ საქმეზე კვალიფიკაცია დამძიმდეს.

– ტელეკომპანია „ფორმულას“ თანამშრომლებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დაკავებულია ერთი პირი.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2022 წლის 17 მარტს, თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ბარში, ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი და ოპერატორები მისულები იყვნენ რესპონდენტთან ინტერვიუს ჩასაწერად, როდესაც ბრალდებულმა უკმაყოფილება გამოთქვა ჟურნალისტის საქმიანობასთან დაკავშირებით, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, არ მისცა ინტერვიუს ჩაწერის შესაძლებლობა და ბარის დატოვება მოსთხოვა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ფაქტიდან მალევე, ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინების საფუძველზე, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით. საქმეზე ჩატარდა გადაუდებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, გამოიკითხნენ დაზარალებული ჟურნალისტი და ოპერატორები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი და ვიდეო ჩანაწერი, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები.

უმოკლეს დროში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, ჩვენ მიერ გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე მხილებული მოქალაქე, – განაცხადა კოკა კაციტაძემ.

# საქართველოსა და პოლონეთს შორის სტრატეგიული რეზერვების სფეროში თანამშრომლობის შესახებ პარტნიორობის შეთანხმება გაფორმდა



შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსა და პოლონეთის რესპუბლიკის სამთავრობო სტრატეგიული რეზერვების სააგენტოს შორის სპეციალური შეთანხმება გაფორმდა.

ხელშეკრულება მიზნად ისახავს მხარეებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებას და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.

შეთანხმებას ხელი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ მღებრიშვილმა და პოლონეთის რესპუბლიკის სამთავრობო სტრატეგიული რეზერვების სახელმწიფო სააგენტოს პრეზიდენტმა – მიხალ კუჩმიეროვსკიმ მოაწერეს.

# ემა გოგოხიას ზუგდიდში ალტ-ინფოს ოფისში თავს დაესხნენ

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ზუგდიდში ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გადამღები ჯგუფისთვის ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

„2022 წლის 18 მარტს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელ ხაზზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საგამოძიებო სამსახურში დაიწყო გამოძიება ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გადამღები ჯგუფისთვის ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური შემჭიდროვებულ ვადებში ჩაატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ცნობისთვის, „მთავარი არხის“ ინფორმაციით, ზუგდიდში „მთავარი არხის“ გადამღებ ჯგუფზე თავდასხმა მოხდა. ჟურნალისტ ემა გოგოხიასა და მის ოპერატორს თავს „ალტ-ინფოს“ ოფისში დაესხნენ.

ემა გოგოხია ამბობს, რომ არხის ოპერატორს დაახლოებით 8 ადამიანმა სასტიკად სცემა.

მისი თქმით, თავდამსხმელებს კამერის დაზიანება სურდათ, სადაც აღბეჭდილი იყო, როგორ შლიდა დასუფთავების სამსახური „ალტ-ინფოს“ ოფისზე დახატულ უკრაინის დროშას და წარწერებს.

– ისინი კასტეტებით იყვნენ შეიარაღებულები. უმოწყალოდ სცემდნენ ოპერატორს, დაახლოებით 8 ადამიანი. ასევე, ჩემზეც განხორციელდა ძალადობა. სამიზნე იყო კამერა. ერთმანეთს ეუბნებოდნენ, კამერა იყო თუ არა დამტვრეული და „კამერა წაიღე“, რომ ამ კამერით ილებდნენ „იმ ფაქტს“. დასუფთავების სამსახურის მასალა იყო აღბეჭდილი ამ კადრზე, თუ როგორ ასუფთავებდნენ და ამის შემდეგ როგორ გარბოდნენ. ჩემი აზრით, ამ მიზნით უნდოდათ კამერის განადგურება, – განაცხადა ემა გოგოხიამ.

# ზელენსკი: „მარიუპოლის ბლოკადა ომის დანაშაულთა ისტორიაში შევა“

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ საპორტო ქალაქ მარიუპოლის ბლოკადა არის „ტერორი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ემახსოვრებათ“.



ზელენსკის თქმით, მარიუპოლის ბლოკადა „შევა ომის დანაშაულების ისტორიაში“.

– ეს არის ტერორი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ემახსოვრებათ, – განაცხადა ზელენსკიმ.

ზელენსკის თქმით, მიუხედავად ამისა, რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებებია საჭირო, თუმცა ეს არ არის „იოლი და სასიამოვნო“.

ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, მარიუპოლში დაახლოებით 400.000 ადამიანი ორ კვირაზე მეტია, ბლოკადაში იმყოფება. შეწყვეტილია ელექტროენერგიის, გათბობისა და წყლის მიწოდება.

მაშველები კვლავ ეძებენ გადარჩენილებს მარიუპოლის თეატრში, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, ოთხშაბათს რუსული საჰაერო დარტყმების შედეგად გაანადგურეს.

რუსეთი თეატრის თავდასხმას უარყოფს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ პარასკევს განაცხადა, რომ რუსული ძალები მარიუპოლის გარშემო „ამაგრებენ ალყას“ და რომ ბრძოლებმა ქალაქის ცენტრამდე მიაღწია.

მარიუპოლის საქალაქო საბჭოს განცხადებით, 19 მარტს ოკუპანტებმა დაბომბეს ხელოვნების მე-12 სკოლის შენობა, სადაც თავს 400 ადამიანი აფარებდა.

– 19 მარტს ოკუპანტებმა დაბომბეს ხელოვნების მე-12 სკოლის შენობა, სადაც თავს 400 ადამიანი აფარებდა – ქალები, ბავშვები და მოხუცები. შენობა დანგრეულია. ნანგრევების ქვეშ მშვიდობიანი მოქალაქეები არიან. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია ზუსტდება, – განაცხადა მარიუპოლის საქალაქო საბჭომ.

# ჩავუშოღლუ: „რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებებში პოზიციების დაახლოება გამოიკვეთა“



თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მევლუთ ჩავუშოღლუმ, რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებებში კრიტიკულ საკითხებთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციების დაახლოებაზე განაცხადა.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ გარკვეული საკითხები ზელენსკისა და პუტინის დონეზე უნდა გადაწყდეს.

ამის შესახებ ჩავუშოღლუმ ჰურიეტთან ინტერვიუში ისაუბრა.

– კრიტიკულ საკითხებთან დაკავშირებით გამოიკვეთა მხარეთა პოზიციების დაახლოება. როგორც ჩვენ ვხედავთ, მათი პოზიციები პირველ ოთხ პუნქტში თითქმის თანხვედრაშია. ზოგიერთი საკითხი ხელმძღვანელების დონეზე არის გადასაწყვეტი, – განაცხადა ჩავუშოღლუმ.

ის მიიჩნევს, რომ თუ მხარეები ამ პოზიციებს არ შეიცვლიან, ცეცხლის შეწყვეტის იმედი იარსებებს.

– ლიდერებს შორის ღია დამაკავშირებელი არხი არსებობს. ახლა ეს ნამდვილად ცნობილი გახდა, – განმარტა ჩავუშოღლუმ.

# ბრიტანეთის ყოფილი პრემიერები პუტინის ნიურნბერგის მოდელის ტრიბუნალზე წარდგომას ითხოვენ

დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრები გორდონ ბრაუნი და ჯონ მეიჯორი სხვა აკადემიკოსებთან, პოლიტიკოსებთან და მოქალაქეებთან ერთად რუსეთის პრეზიდენტისა და უკრაინაში შეჭრაში მონაწილე ადამიანებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნას უერთდებიან.



ჯამში 140 პოლიტიკოსი და აკადემიკოსი, რუსეთის პრეზიდენტისა და სხვა დაკავშირებული ადამიანების გასამართლებლად, ნიურნბერგის პროცესების მაგალითზე სპეციალური ტრიბუნალის შექმნას ითხოვს.

– ბრიტანეთიდან, რომელიც დამსახურებულად ამაყობს დემოკრატიითა და კანონის უზენაესობით, მკაფიო მესიჯი უნდა გავრცელდეს. ნიურნბერგის პროცესზე ჩვენ მეორე მსოფლიო ომის ნაცისტ დამნაშავეებს პასუხისმგებლობა დავაკისრეთ. 8 ათწლეულის შემდეგ ჩვენ აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ პუტინისთვისაც დადგება „განკითხვის დღე“.

ბერლინის კედლის ჩამოშლის შემდეგ ჩვენ მივიჩნიეთ, რომ დემოკრატია და კანონის უზენაესობა გაიმარჯვებდა, მაგრამ პუტინი ამას ძალის გამოყენებით ანაცვლებს.

თუ ჩვენ ახლა მკაფიო სიგნალს არ გავგზავნით, სხვა ქვეყნებშიც აღმოვჩნდებით აგრესიის წინაშე, რაც ასევე დაუსჯელი შესაძლოა დარჩეს, – განაცხადა ბრაუნმა ბიბისისთან ინტერვიუში.

# რუსმა ოკუპანტებმა უკრაინელი ჟურნალისტი გაიტაცეს



უკრაინული დამოუკიდებელი მედია ჰრომადსკე ავრცელებს ინფორმაციას რუსების მიერ უკრაინელი ჟურნალისტის გატაცების შესახებ.

როგორც თავად უკრაინული მედია წერს, ისინი ვიქტორია როშინას 12 მარტიდან ვერ უკავშირდებოდნენ. შემდგომ კი მათ წყაროებმა შეატყობინეს, რომ ვიქტორია როშინა ოკუპირებულ ბრედიანსკში იმყოფებოდა.

მედიის ცნობით, 16 მარტს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვიქტორია რუსეთის ფსბ-მ დააკავა.

ამჟამად მისი ადგილსამყოფელის შესახებ არაფერია ცნობილი.

უკრაინული მედია ჰრომადსკე მოუწოდებს უკრაინულ და საერთაშორისო საზოგადოებას, ინფორმაციულად და ქმედებებით ჟურნალისტის გათავისუფლების საკითხში ჩაერთონ.

ვიქტორია როშინა უკრაინული ჰრომადსკეს ჟურნალისტია. ის რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან ცხელ წერტილებში იმყოფებოდა და უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში ვიდეოებს იღებდა და სტატიებს წერდა.



# ლუგანსკის რეგიონიდან 12.500 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა

ლუგანსკის რეგიონიდან უკვე 12.500 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

ამის შესახებ ტელეგრამის არხზე ლუგანსკის რეგიონული სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციის თავმჯდომარე სერგეი გაიდაიმ განაცხადა.

– ლუგანსკის რეგიონიდან მხოლოდ სამი ჰუმანიტარული დერეფნით ჩვენ მოვახერხეთ თითქმის 12.500 მშვიდობიანი მოსახლის გაყვანა, – განაცხადა გაიდაიმ.

მისი თქმით, 19 მარტს, ჰუმანიტარული დერეფნით, მიუხედავად დამპყრობლების მიერ ევაკუაციის ჩაშლის ყველა მცდელობისა, 670 ადამიანი გამოიყვანეს.

– ყველაზე რთული იყო ხალხის გაყვანა პოპასნაიადან და რუბეჟნოედან, რადგან სროლები აქ არ შეწყვეტილა, – აღნიშნა მან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# შინაგან საქმეთა სამინისტროს სამუშაო ვიზიტით ყაზახეთის დელეგაცია ეწვია



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამუშაო ვიზიტით ყაზახეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, ალმათის აკადემიის ხელმძღვანელის – აიდარ საიტბეკოვის ხელმძღვანელობით ეწვია.

ვიზიტი გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ცენტრალური აზიის განყოფილების (UNODC ROCA) ორგანიზებით განხორციელდა და მის მიზანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეფორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა წარმოადგენს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე ყაზახეთის დელეგაციის წევრებს სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ იმედი გამოთქვა, რომ ვიზიტის ფარგლებში გაზიარებული ინფორმაცია და გამოცდილება სასარგებლო იქნება ყაზახეთის მხარისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმების დანერგვის მიმართულებით.

დელეგაციის წარმომადგენლები ასევე შეხვდნენ შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, გენერალური ინსპექციისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს. სტუმრები ასევე ეწვივნენ შსს-ს აკადემიას, საპატრულო პოლიციის დეპარტმენტს, მომსახურების სააგენტოს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტს და ადგილზე გაეცვნენ მათი მუშაობის სპეციფიკას.

# რუსთავის ავტობანზე სატვირთო მანქანა მსუბუქს დაეჯახა

ავარია მოხდა რუსთავის ავტობანზე. „ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, რუსთავი-თბილისის ჩქაროსნულ მაგისტრალზე მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები ერთმანეთს შეეჯახნენ.

ავარიის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი.

## სპორტი

# საქართველოს თასზე ოთხთა ფინალის მონაწილეები გაირკვა

საქართველო თასის ოთხივე ნახევარფინალისტი ცნობილია. ოთხთა ფინალის პირველი საგზური ოლიმპმა მოიპოვა. დავით როგავას გაწვრთნილმა გუნდმა დამაჯერებელი სხვაობით – 103:71 დაამარცხა გვარიანად დასუსტებული ვერა. არადა, ვერელებმა სუპერლიგაში პირველი წრე ძლიერად ჩაატარეს და 11 მატჩიდან 8 მოიგეს, მაგრამ საკადრო პრობლემების გამო გვარიანად დასუსტდნენ და თამაშს თამაშზე აგებენ. დავით გასიტაშვილის გუნდს რიგი მიზეზების გამო 4 ლეგიონერიდან ამ ეტაპისთვის მხოლოდ 1 შერჩა.



ზაკ სელიასმა 24 ქულა და 15 მოხსნა კი მიითვალა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა წარმატების მისაღწევად. ოლიმპის მოთამაშეებმა ლიდერობა თავიდანვე მოიპოვეს და თამაშის ბოლომდე სოლიდურ უპირატესობას ფლობდნენ. გამარჯვებულთაგან 21-21 ქულით კახა ჯინჭარაძე და იმორას ეიჯი გამოირჩნენ. 17-17 ქულა ილია ლონდარიძემ და გივი ბაქრაძემ მიითვალეს.

ბათუმში სათამაშოდ იყო ჩასული კაქტუსი, რომელმაც თასის გათამაშებას რუსთავი გამოთიშა, ხოლო სუპერლიგაში ბოლო გამარჯვებებით ცხრილში დაწინაურდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ბათუმშიც კარგად ითამაშა და შეხვედრა ბოლო წუთებზე დათმო. გადამწყვეტი პერიოდის წინ კაქტუსელები 62:59 იგებდნენ, მაგრამ მასპინძელთა ზეწოლას ბოლომდე ვერ გაუძლეს და გამარჯვება ბათუმელებს დარჩათ – 87:82.

გამარჯვებულთაგან 18 ქულით, 7 მოხსნით და 4 დაფარებით საუკეთესო იყო ბექა ბექაური. 19 ქულა კაილი რიდლიმ მიითვალა, დე ანჯელო სტიუარტმა ზღვისპირელებს 15 ქულა და 7 მოხსნა შეაშველა. კაქტუსში 31 ქულით საუკეთესო იყო დერიკ ნიუტონი. 19 ქულა და 10 მოხსნა დენზელ ლივინგსტონმა მოაგროვა.

წარმატებულ სვლას აგრძელებს უმაღლესი ლიგის დებიუტანტი მეგა, რომელმაც სუპერლიგის ლიდერ თსუ-ს 85:76 მოუგო. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდმა მართალია შესუსტებული, მაგრამ მაინც ძალიან ძლიერი მეტოქე დაამარცხა. უნივერსიტეტელებს ტრავმების გამო აკლდათ მიხეილ ბერიშვილი და რაილ ოუენსი, რაც საბოლოოდ გახდა კიდეც წაგების მიზეზი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეგას ერთ-ერთმა ლიდერმა, დემონტე ფლანიგანმა მესამე პერიოდის დასაწყისში ფეხის ტრავმა მიიღო და მოედანზე ველარ დაბრუნდა.

თსუ მე-2 პერიოდში 15 ქულით ჩამორჩა, მაგრამ პერიოდის მიწურულსა და მესამეს დასაწყისში ისეთი სპურტი მოაწყო, რომ ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა. მეგა არ გატყდა. გუნდური სულისკვეთებითა და ამერიკელი ლეგიონერების ინდივიდუალური ოსტატობით ჩერქეზიშვილის გუნდი გამარჯვებამდე ისე მივიდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა.

გამარჯვებულებს ულიდერა ტაილერ კორბინმა, რომელმაც სამმაგი დუბლის ზღვარზე გაიარა: 21 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა. 23 ქულა და უმნიშვნელოვანესი სამქულიანები ჩააგდო ჯიმონ ჰენსონმა. 14 ქულა მიითვალა დენგი აკუთმა, ხოლო 13 – დემონტე ფლანიგანმა.

ოთხთა ფინალისტთა სია ქუთაისმა შეავსო. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა დაძაბულ ბრძოლაში – 87:78 დაამარცხა ცხუმ-აფხაზეთი და ოთხთა ფინალში შარშან მოგებული ტიტულის დაცვას შეეცდება.

საბოლოოდ მასპინძელმა ქუთაისელებმა 9 ქულით მოიგეს, მაგრამ შეხვედრის უმეტეს დროს ჩამორჩებოდნენ. ბოლო პერიოდი ახალი დაწყებული იყო, როცა ალექსანდერ ფიკოკმა ზუსტი 2-ქულიანით ცხუმელები 11 ქულით დააწინაურა. ქუთაისელებისთვის ეს გახდა შემობრუნების მომენტი. მასპინძლებმა დაცვაში საიმედო თამაშს სწრაფი შეტევები მოაყოლეს, რითაც ჯერ ჩამორჩენა შეამცირეს, შემდეგ სულაც მოიგეს.

ბოლო წუთებში ქუთაისელთა უპირატესობა აშკარა გახდა, რასაც ცხუმ-აფხაზეთის მწვრთნელის, ირაკლი ძიძიგურის წუთშესვენებებმაც ვერ უშველა. დარჩენილი წუთები იმერული კლუბის უპირატესობით გაილია.

გამარჯვებულთაგან 20 ქულით საუკეთესო გახდა გიორგი კორსანტია. 15 ქულა და 10 მოხსნა აკაკი დვალიშვილმა მიითვალა, სტივენ ფლეჯერის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა. ცხუმ-აფხაზეთში 20 ქულით ბომბარდირი გახდა ჯაი უილიამსი.

ოთხთა ფინალის წყვილები ასე გამოიყურება: ოლიმპი-ქუთაისი; ბათუმი-მეგა.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# ფავორიტებმა მოიგეს, თოვლმა თამაშები გადადო



**ლოკომოტივი-დინამო (ბთ) 0:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 ბიძინაშვილი (45), 0:2 რადინი (90)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, გაბაძე, ბუილიშვილი, ანდრონიკაშვილი, ქველაძე, ძებნიაური, დარცმელია, სამურკასოვი (მუკბანიანი 86), ზოსიაშვილი (ომარაშვილი 77), იაკობიძე (ჭიაბრიშვილი 73), შეყილაძე

**დინამო:** კუპატაძე, აზაროვი, აზაცკი, მ.კობახიძე, ჩაბრაძე, ალთუნაშვილი (რადინი 73), ტეიდი, ჯიღაური (მამუჩაშვილი 86), ბიძინაშვილი (დენკოვიჩი 73), ვ.გაფრინდაშვილი (ზარია 63), ფანცულაია (ლობჟანიძე 63)

საქართველოს ჩემპიონმა ბათუმის დინამომ თბილისში 2:0 მოუგო ლოკომოტივს. ეს გია გეგუჩაძის გუნდი 10 ქულით ამ დროისთვის ლიდერია, მაგრამ ტურში სხვა გუნდებს სათამაშო აქვთ. ლოკომოტივი კი 4 მატჩის შემდეგ ჯერ უქულოდაა.

გოლებს რაც შეეხება, 2-ვე ტაიმის მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გავიდა. პირველი ნახევრის ბოლოს ირაკლი ბიძინაშვილმა გახსნა ანგარიში და სეზონში თავისი მეოთხე გოლი მიითვალა, ხოლო ზედ საფინალო სასტვენის წინ კი, მილან რადინმა გაიტანა.

**დილა-სიონი 2:1**

**გორი. თენგიზ ბუჯანაძე**

0:1 უგრეხელიძე (68), 1:1 მაქაცარია (74), 2:1 დრამე (83)

**დილა:** ბულისკერია, ჩიტეიშვილი (გ.გაფრინდაშვილი 73), ჭიჭინაძე, სანტოსი, ღუდუშაური, ტავარეში (ლომთაძე 58), მაქაცარია (დრამე 83), ნონდი, გომისი (ვაგნერი 73), გაგნიძე, სილვა

**სიონი:** ისიანი, ჯაფიაშვილი, უგრეხელიძე, ტვილდიანი (ო.კობახიძე 86), კილასონია, ლ.ხორხელი, ნ.ხორხელი (მედვედი 86), ფოცხვერია, ჩუკვურა, თ.ტაბატაძე, ზურაბიანი

**გაძევება:** სანტოსი (39)

გორის დილამ დაძაბულ თამაშში 2:1 მოუგო ბოლნისის სიონს. საინტერესოა, რომ დილა 39-ე წუთიდან 10 კაცით იყო – ალეფ სანტოსმა 2 ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

მე-2 ტაიმის შუაში კი სიონი ლაშა უგრეხელიძემ დააწინაურა. თუმცა დილამ მაინც მოატრიალა თამაში: ჯერ თამაზ მაქაცარიამ გაათანაბრა, მერე კი მისმა შემცვლელმა ჰაჯი დრამემ პირველივე შეხებით საქართველოში პირველი გოლი გაიტანა და თანაც გადამწყვეტი – 2:1.

**სამგურალი-გაგრა**

**გადაიდო**

**თელავი-ტორპედო**

**გადაიდო**

**საბურთალო-დინამო** **გადაიდო**

ეროვნული ლიგის მე-5 ტურიც ნაკლული გამოვიდა. საქართველოში მოსულ უხვ ნალექს ვერაფერი დაუპირისპირეს სტადიონების ხელმძღვანელებმა, ვერ მოხერხდა მოედნის გაწმენდა თოვლისგან. ნორმალურ ქვეყანაში, მასპინძელ გუნდებს სტადიონის მოუმზადებლობის გამო სჯიან, ჩვენთან კი, მხოლოდ თამაშის გადადებით შემოიფარგლებიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 5 | 3 | 1 | 1 | 12-4 | 10 |
| 2.დილა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 3.თელავი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 4.გაგრა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 5.საბურთალო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 6.დინამო (თბ) | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 7.სამგურალი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 8.ტორპედო | 3 | 1 | 0 | 2 | 1-6 | 3 |
| 9.სიონი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |
| 10.ლოკომოტივი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |

# სანიოლი შეკრებას ცვლილებით იწყებს



საქართველოს ნაკრები 25 მარტს სტუმრად ბოსნია-ჰერცეგოვინას დაუპირისპირდება, ხოლო 29 მარტს, ალბანეთს ტირანაში შეხვდება. ორივე მატჩი ამხანაგურია.

ვილი სანიოლის კრებული 21 მარტს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში შეიკრიბება და უახლოესი მატჩებისთვის მოემზადება.

სანიოლმა მოახლოვებული მატჩებისთვის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, მაგრამ უკვე მოუხდა ცვლილების განხორციელება: ფრანგ სპეციალისტს ჩეხური კარვინას ლეგიონერი, დავით კობოური გამოაკლდა. ფეხბურთელმა ჩეხეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მატჩის მიმდინარეობისას ტრავმა მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, დავით კობოურს ბათუმის დინამოს მცველი მამუკა კობახიძე შეცვლის.

სადღეისოდ, სანიოლის გამოძახებულ ფეხბურთელთა სია ასეთია:

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე, მამუკა კობახიძე (ორივე დინამო ბთ), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), სოლომონ კვერკველია (მეტალისტი, უკრაინა);

**ნახევარდაცვა:** საბა ლობჟანიძე (ჰატაისპორი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ვაკო გვილია (ჩესტოხოვა, პოლონეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ);

**თავდასხმა:** გიორგი ბერიძე, ბუდუ ზივზივაძე (ორივე უიპეშტი, უნგრეთი), დავით ვოლკოვი (ზირა, აზერბაიჯანი), ვაკო ყაზაიშვილი (ჰიუნდაი, ს.კორეა).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

**19 მარტი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-არსენალი ....................0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 29 | 22 | 4 | 3 | 68-18 | 70 |
| 2.ლივერპული | 29 | 21 | 6 | 2 | 75-20 | 69 |
| 3.ჩელსი | 28 | 16 | 8 | 3 | 57-19 | 59 |
| 4.არსენალი | 28 | 17 | 3 | 8 | 44-31 | 54 |
| 5.მანჩესტერი | 29 | 14 | 8 | 7 | 48-40 | 50 |
| 6.ვესტ ჰემი | 29 | 14 | 6 | 9 | 48-36 | 48 |
| 7.ტოტენჰემი | 28 | 15 | 3 | 10 | 44-35 | 48 |
| 8.ვულვზი | 30 | 14 | 4 | 12 | 31-26 | 46 |
| 9.ასტონ ვილა | 29 | 11 | 3 | 15 | 41-40 | 36 |
| 10.საუთჰემპტონი | 29 | 8 | 11 | 10 | 36-45 | 35 |
| 11.კრ.პალასი | 29 | 7 | 13 | 9 | 39-38 | 34 |
| 12.ლესტერი | 26 | 9 | 6 | 11 | 40-45 | 33 |
| 13.ბრაიტონი | 29 | 7 | 12 | 10 | 26-36 | 33 |
| 14.ნიუკასლი | 29 | 7 | 10 | 12 | 32-49 | 31 |
| 15.ბრენტფორდი | 29 | 8 | 6 | 15 | 32-45 | 30 |
| 16.ლიდსი | 30 | 7 | 8 | 15 | 34-67 | 29 |
| 17.ევერტონი | 27 | 7 | 4 | 16 | 29-47 | 25 |
| 18.უოტფორდი | 29 | 6 | 4 | 19 | 29-55 | 22 |
| 19.ბარნლი | 27 | 3 | 12 | 12 | 22-38 | 21 |
| 20.ნორვიჩი | 29 | 4 | 5 | 20 | 18-63 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

დერბი-ქოვენთრი ..........................1:1
შეფილდი-ბარნსლი ........................2:0
ბრისტოლი-ვესტ ბრომვიჩი ............2:2
რედინგი-ბლექბერნი .......................1:0
სტოკი-მილუოლი ............................2:0
სუონსი-ბირმინგემი ........................0:0
ჰადერფილდი-ბორნმუთი ................0:3
ჰალი-ლუთონი ...............................1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰერტა-ჰოფენჰაიმი .........................3:0
ფიურტი-ფრაიბურგი .......................0:0
მაინცი-არმინია ..............................4:0
შტუტგარტი-აუგსბურგი ...................3:2
ბაიერნი-უნიონი ..............................4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 27 | 20 | 3 | 4 | 81-28 | 63 |
| 2.დორტმუნდი | 26 | 18 | 2 | 6 | 66-37 | 56 |
| 3.ლევერკუზენი | 26 | 13 | 6 | 7 | 64-41 | 45 |
| 4.ფრაიბურგი | 27 | 12 | 9 | 6 | 43-29 | 45 |
| 5.ლაიფციგი | 26 | 13 | 5 | 8 | 57-30 | 44 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 27 | 13 | 5 | 9 | 49-40 | 44 |
| 7.კიოლნი | 26 | 10 | 9 | 7 | 37-39 | 39 |
| 8.უნიონი | 27 | 10 | 8 | 9 | 33-38 | 38 |
| 9.მაინცი | 26 | 11 | 4 | 11 | 39-30 | 37 |
| 10.აინტრახტი | 26 | 10 | 7 | 9 | 39-38 | 37 |
| 11.გლადბახი | 27 | 9 | 6 | 12 | 38-51 | 33 |
| 12.ბოხუმი | 27 | 9 | 5 | 13 | 28-39 | 32 |
| 13.ვოლფსბურგი | 26 | 9 | 4 | 13 | 29-40 | 31 |
| 14.შტუტგარტი | 27 | 6 | 8 | 13 | 35-50 | 26 |
| 15.აუგსბურგი | 26 | 6 | 8 | 12 | 29-44 | 26 |
| 16.ჰერტა | 27 | 7 | 5 | 15 | 29-60 | 26 |
| 17.არმინია | 27 | 5 | 10 | 12 | 22-38 | 25 |
| 18.ფიურტი | 27 | 3 | 6 | 18 | 24-70 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-ჰანზა ........................0:1
ფორტუნა-ჰამბურგი ........................1:1
შალკე-ჰანოვერი ............................2:1
ვერდერი-დარმშტადი ......................1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-გრანადა ..........................2:3
ელჩე-ვალენსია .............................0:1
ოსასუნა-ლევანტე ..........................3:1
რაიო-ატლეტიკო .............................0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 28 | 20 | 6 | 2 | 59-21 | 66 |
| 2.სევილია | 28 | 15 | 11 | 2 | 40-19 | 56 |
| 3.ატლეტიკო | 29 | 16 | 6 | 7 | 53-36 | 54 |
| 4.ბარსელონა | 27 | 14 | 9 | 4 | 52-29 | 51 |
| 5.ბეტისი | 28 | 15 | 4 | 9 | 50-35 | 49 |
| 6.სოსიედადი | 28 | 13 | 8 | 7 | 29-29 | 47 |
| 7.ვილიარეალი | 28 | 12 | 9 | 7 | 48-26 | 45 |
| 8.ბილბაო | 29 | 10 | 11 | 8 | 33-28 | 41 |
| 9.ვალენსია | 29 | 10 | 10 | 9 | 42-43 | 40 |
| 10.ოსასუნა | 29 | 10 | 8 | 11 | 29-36 | 38 |
| 11.სელტა | 28 | 9 | 8 | 11 | 33-32 | 35 |
| 12.რაიო | 28 | 9 | 5 | 14 | 29-34 | 32 |
| 13.ელჩე | 29 | 8 | 8 | 13 | 30-40 | 32 |
| 14.ესპანიოლი | 28 | 8 | 9 | 11 | 34-41 | 31 |
| 15.ხეტაფე | 29 | 6 | 11 | 12 | 27-33 | 29 |
| 16.გრანადა | 29 | 6 | 10 | 13 | 31-46 | 28 |
| 17.მალიორკა | 28 | 6 | 8 | 14 | 26-48 | 26 |
| 18.კადისი | 28 | 4 | 12 | 12 | 24-41 | 24 |
| 19.ალავესი | 29 | 5 | 7 | 17 | 23-48 | 22 |
| 20.ლევანტე | 29 | 3 | 10 | 16 | 31-58 | 19 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სოსიედადი-მირანდესი ....................1:3
კარტახენა-სარაგოსა .......................3:0
ფუენლაბრადა-მალაგა .....................1:0
ვალიადოლიდი-ლას პალმასი ..........0:1
ლუგო-ოვიედო ...............................1:1
ხირონა-იბიცა .................................5:1

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-უდინეზე ............................2:1
ინტერი-ფიორენტინა .......................1:1
კალიარი-მილანი ............................0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 30 | 20 | 6 | 4 | 56-29 | 66 |
| 2.ნაპოლი | 30 | 19 | 6 | 5 | 53-22 | 63 |
| 3.ინტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 62-24 | 60 |
| 4.იუვენტუსი | 29 | 16 | 8 | 5 | 45-26 | 56 |
| 5.ლაციო | 29 | 14 | 7 | 8 | 58-42 | 49 |
| 6.რომა | 29 | 14 | 6 | 9 | 47-35 | 48 |
| 7.ატალანტა | 28 | 13 | 9 | 6 | 50-31 | 48 |
| 8.ფიორენტინა | 29 | 14 | 5 | 10 | 48-38 | 47 |
| 9.სასუოლო | 30 | 11 | 10 | 9 | 55-49 | 43 |
| 10.ვერონა | 29 | 11 | 8 | 10 | 54-46 | 41 |
| 11.ტორინო | 29 | 9 | 8 | 12 | 34-30 | 35 |
| 12.ბოლონია | 28 | 9 | 6 | 13 | 32-43 | 33 |
| 13.ემპოლი | 29 | 8 | 8 | 13 | 40-54 | 32 |
| 14.უდინეზე | 28 | 6 | 12 | 10 | 36-46 | 30 |
| 15.სპეცია | 30 | 8 | 5 | 17 | 31-54 | 29 |
| 16.სამპდორია | 29 | 7 | 5 | 17 | 37-51 | 26 |
| 17.კალიარი | 30 | 5 | 10 | 14 | 28-54 | 25 |
| 18.ჯენოა | 30 | 2 | 16 | 12 | 23-47 | 22 |
| 19.ვენეცია | 28 | 5 | 7 | 16 | 25-52 | 22 |
| 20.სალერნიტანა | 27 | 3 | 7 | 17 | 22-63 | 16 |

**იტალია. სერია ბ**

მონცა-კროტონე ..............................1:0
პარმა-ლეჩე ...................................0:0
რეჯინა-კოზენცა .............................1:0
ტერნანა-ალესანდრია ......................3:0
ფროზინონე-ბენევენტო ....................2:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლანსი-კლერმონი ............................3:1
ნანტი-ლილი ...................................0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 20 | 5 | 3 | 59-24 | 65 |
| 2.მარსელი | 28 | 14 | 8 | 6 | 43-26 | 50 |
| 3.ნიცა | 28 | 15 | 6 | 7 | 38-21 | 50 |
| 4.რენი | 28 | 15 | 4 | 9 | 57-27 | 49 |
| 5.სტრასბური | 28 | 13 | 8 | 7 | 50-32 | 47 |
| 6.ლილი | 29 | 12 | 10 | 7 | 38-35 | 46 |
| 7.ლანსი | 29 | 12 | 8 | 9 | 45-39 | 44 |
| 8.ნანტი | 29 | 12 | 6 | 11 | 36-31 | 42 |
| 9.მონაკო | 28 | 11 | 8 | 9 | 40-30 | 41 |
| 10.ლიონი | 28 | 11 | 9 | 8 | 40-37 | 41 |
| 11.მონპელიე | 28 | 11 | 5 | 12 | 41-40 | 38 |
| 14.რეიმსი | 28 | 8 | 11 | 9 | 32-31 | 35 |
| 13.ბრესტი | 28 | 9 | 8 | 11 | 36-42 | 35 |
| 14.ანჟე | 28 | 7 | 8 | 13 | 31-41 | 29 |
| 15.ტრუა | 29 | 7 | 8 | 14 | 27-42 | 29 |
| 16.კლერმონი | 29 | 7 | 7 | 15 | 28-51 | 28 |
| 17.ლორიანი | 28 | 6 | 9 | 13 | 24-43 | 27 |
| 18.სტ.ეტიენი | 29 | 6 | 9 | 14 | 29-51 | 27 |
| 19.მეცი | 28 | 4 | 11 | 13 | 25-46 | 23 |
| 20.ბორდო | 28 | 4 | 10 | 14 | 38-68 | 22 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ლე ავრი-კაენი ...............................2:4
ოსერი-ტულუზა ..............................1:2
ამიენი-დიჟონი ...............................1:1
აიაჩო-ნიმი ....................................1:0
გენგამი-ნანსი ................................3:1
გრენობლი-ბასტია ...........................1:1
დიუნკერკი-ვალანსიენი ...................1:2
ნიორი-კევიი ..................................2:0
სოშო-როდეზი ................................2:0
პარიზი-პო .....................................1:1

**ნიდერლანდები. ეშედივიზიონი**

იგლზი-კამბური ..............................3:0
ტვენტე-ზვოლე ...............................1:0
ნაიმეგენი-სპარტა ..........................0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ტონდელა-აროუკა ...........................2:2
სანტა კლარა-ბელენენსეში ..............0:0
გიმარაეში-სპორტინგი ......................1:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

ეუპენი-მეხელენი ............................1:1
სერენი-ლეუვენი .............................1:1
შარლერუა-სერკლი ..........................5:0
ანტვერპენი-ვარეგემი .....................1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ტიროლი-ადმირა ............................0:0
რიდი-ალტახი .................................1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ჰიბერნიანი .....................3:1
სელტიკი-როსი ...............................4:0
სტ.ჯონსონი-მოზერველი .................2:1
სტ.მირენი-დ.იუნაიტედი ..................1:2
ჰართსი-ლივინგსტონი .....................2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

მალათია-ქაშიმფაშა .......................0:2
ადანა-ბაშაქშეჰირი .........................2:1
გიოზთეფე-ალანია ..........................0:2
ბეშიქთაში-ჰატაი ...........................1:1

**ჰატაის გოლი**
**საბა ლობჟანიძემ გაიტანა**

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-იონიკოსი ...............................2:3
ატრომიტოსი-აპოლონი ...................1:0
ვოლოსი-ასტერასი .........................0:2
პანეთოლიკოსი-ლამია ...................1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ლუცერნი ......................3:2
იანგ ბოიზი-ციურიხი ......................1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-კარვინა ..............................1:3
ბოჰემიანსი 1905-სლოვაცკო ...........1:2
ზლინი-პარდუბიცე .........................4:1
იაბლონეცი-პლზენი .......................0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-სლასკი .............................1:2
ჩენსტოხოვა-ლეგია ........................1:1
ლეხია-ლენჩნა ...............................2:0
ლეხი-იაგელონია ............................3:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

ზალაეგერსეგი-პუშ.აკადემია ..........0:0
დირმოტი-ფეჰერვარი .....................0:2
მტკ-კიშვარდა ...............................0:0

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მცირე ამპლიტუდის რხევები; 2. იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი, მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 3. საცხოვრებელი სათავსო სახლის სხვენზე; 4. გამცემლობა, ვერაგობა; 7. კათოლიკური ჯვარი; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 14. მდინარე სამეგრელოში; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 17. მუსლიმთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 20. პოეტი, სახალხო მთქმელი შუა აზიაში.

**თარაზულად:** 5. სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება; 6. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 8. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 10. ღია ლურჯი ფერი – ცის ეპითეტი; 11. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. ისტორიული ჩანაწერები, რომელსაც აღნუსხავდნენ მემატიანეები; 16. ვაზის ხეივანი; 18. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 19. ხელოვნების მუზეუმი პარიზში; 21. მონასტერი სამაჩაბლოში; 22. კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; 23. ასპირინის გამომგონებელი გერმანელი ქიმიკოსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები



თამაზ შათირიშვილი თავისი ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებთან ერთად გულისტკივილით იუწყება მეზობლის, მეგობრის, ნათლულისა და თანამშრომლის

**თეიმურაზ ბერძენიშვილის**

გარდაცვალებას და გულწრფელად თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და ნათესავებს.

პანაშვიდი: 20, 21 მარტს.

დაკრძალვა: 22 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: ქვლივიძის 39 (გორკის ძეგლთან ახლოს).

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოსტავა; 2. სადაფი; 3. მორიკონე; 4. მაჭახელა; 7. ტაქსაფონი; 8. ჯავახეთი; 12. ჰონორარი; 14. დანსინგი; 16. ბოჰემია; 17. კუპდარი; 19. დუმა; 20. ბახი.

**თარაზულად:** 5. პოტენცია; 6. აპოსტასია; 9. მადონა; 10. ფრანკი; 11. ზვარე; 13. კონტე; 15. საღამო; 18. შორტი; 21. ინანთეული; 22. მუშამბა; 23. ტავრიდა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დიპლოპეა; 2. ყინჩი; 3. ერისტიკა; 4. ქემელი; 7. ქნარი; 9. ბზობა; 12. ალმადოვარი; 14. ხუანხე; 15. ქვაწვია; 17. კიკერსი; 20. თეთრა.

**თარაზულად:** 5. ყინწვისი; 6. გორგაძე; 8. მიჩმანი; 10. აფროდიტა; 11. დევიზა; 13. სტაპელი; 16. ხაჭაპური; 18. ჰინდი; 19. ცაიში; 21. ვეფხვი; 22. მინისტრი; 23. მიუსერა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ISSN 1987-9385

21 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2096

ევრო — 3.5431

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2145

100 რუსული რუბლი — 3.1295

## ამინდის პროგნოზი 21 მარტისათვის




## კვარაცხელიას შეძენით ნაპოლი დაინტერესდა



ყაზანის რუბინის ქართველი ფორვარდის ხვიჩა კვარაცხელიას შეძენით ნაპოლი დაინტერესდა და შესაძლოა მალე კვარაცხელია იტალიაში აღმოჩნდეს, თუმცა, ბუნებრივია, ყველაფერი იოლი არ იქნება.

კვარაცხელიას დიდი ხანია, რუბინის დატოვება სურს, მაგრამ ჯერჯერობით მას ეს არ გამოსდის, რადგან რუბინი მის ტრანსფერში საკმაოდ დიდ თანხას ითხოვს და ეს პრობლემას წარმოადგენს.

ხვიჩას ყიდვა რამდენიმე ინგლისურ კლუბსაც სურს, მათ შორის, ვესტ ჰემს.

## მამარდაშვილს ესპანეთში აქებენ



ვალენსიას მეკარეს გიორგი მამარდაშვილს ესპანეთში აქებენ და ბოლო რამდენიმე შეხვედრა ქართველმა გოლკიპერმა მართლაც ძალიან კარგად ჩაატარა. შესაძლოა მამარდაშვილი ძირითად მეკარედ დარჩეს, იმის შემდეგაც, რაც იასპერ სილესენი ტრავმას მოიშუშებს, რადგან გიორგის თამაშით ვალენსიაში ყველა კმაყოფილია.

რამდენიმე ესპანურმა გამოცემამ ის კედელსაც შეადარა.

## ასტონ ვილას კოუტინიოს გამოსყიდვა სურს



ასტონ ვილაში იმდენად კმაყოფილები არიან კოუტინიოს თამაშით, რომ მისი გამოსყიდვა სურთ და, სავარაუდოდ, ისინი ამის გაკეთებას მოახერხებენ, რადგან ბარსელონას დიდი სურვილი არა აქვს, რომ კოუტინიო გუნდში დაბრუნდეს.

შეგახსენებთ, რომ კოუტინიო ამჟამად ასტონ ვილაში იჯარის წესით თამაშობს და მასზე უფლებები კვლავ ბარსელონას ეკუთვნის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ინგა ფერაძე თავშესაფარში ცხოვრობს



მომღერალი ინგა ფერაძე თავშესაფარში ცხოვრობს და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს.

ჟურნალისტ მაკა რაზმაძის ინფორმაციით, ხელოვანი ბრიუსელში იმყოფება:

— ჩემი საყვარელი მეგობრის, მომღერლისა და ვარსკვლავის ინგა ფერაძის დაბადების დღეა.

ის ამ მოლოცვას ვერ წაიკითხავს, ვერც ამ ფოტოებს ნახავს და ვერც თქვენს მოწერილ სიყვარულით სავსე კომენტარებს. მას აღარც ტელეფონი აქვს, აღარც ინტერნეტთან წვდომა და აღარც სახლი. ინგა დღეს უცხო ქვეყანაში თავშესაფარში ცხოვრობს. ვერ შევძელით მისი საქართველოში დაბრუნება, რასაც ასე გვთხოვდა ყველას.

მაინც მივულოცოთ, ზუსტად ვიცი, ის ამას იგრძნობს, რადგან მასაც ისევე უყვარხართ ყველანი, როგორც ქართველ მსმენელს უყვარს ინგა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 21 მარტისათვის



**ვერძი** — თქვენს დიპლომატიასა და გამჭრიახობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სამომავლო გეგმებს ნუ დასახავთ. **კურო** — თამამად გარისკეთ. წარმატებული და იღბლიანი დღეა. ენას კბილი დააჭირეთ. **ტყუპები** — ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ხელგეწიფებათ. რისკი გამართლებულია. **კირჩხიბი** — თუ რამე ჩაიფიქრეთ, უთუოდ შეასრულეთ. ხელს ვერაფერი შეგიშლით. ახლობლებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და მოეფერეთ. **ლომი** — უფრო მოკრძალებული და თავდაჭერილი უნდა იყოთ. გახსოვდეთ, რომ ფშუტე თავთავი თავს მაღლა სწევს, მძიმე თავთავი კი თავდახრილია. **ქალწული** — ნუ დაგავიწყდებათ მადლიერების გამოხატვა იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც მძიმე წუთებში თანადგომა გაგიწიეს. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **სასწორი** — ახალი ნაცნობობა კეთილისმყოფელი იქნება. რისკის არ შეგეშინდეთ. **ღრიანკალი** — იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. პროფესიული საქმიანობა დიდ ენერგიას დაგახარჯვინებთ. **მშვილდოსანი** — პლანეტები გმფარველობენ. განსაკუთრებით წარმატებულია დღის პირველი ნახევარი. **თხის რქა** — გიმართლებთ სასიყვარულო ურთიერთობებში, კარიერაში. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. **მერწყული** — ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. სხვის პრობლემებს გულგრილად ნუ მოეკიდებით. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ გარშემომყოფებს. **თევზები** — დაძაბული სამუშაო დღეა, თუმცა მდიდარი ფანტაზიისა და წარმოსახვის წყალობით ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— გავიგე, ახალი ცოლი მოგიყვანია და როგორაა საქმე?

— კი, კარგი გოგო მოვიყვანე ცოლად, მაგრამ ჩემმა ყოფილმა ცოლმა ჩემზე შური იძია და ჩემი მეუღლის მამას გაჰყვა ცოლად, ასე რომ, ახლა ჩემი სიდედრია.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

— გთხოვ, მოდი დავშორდეთ ერთმანეთს. ასე ცხოვრება აღარ შემიძლია!

— არა, არ გამოვა, ქვრივი მომიყვანე და ქვრივადვე უნდა დამტოვო!

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

— ძვირფასო, კომპიუტერი არ მუშაობს.

— დიდ ღილაკს თითი დააჭირე?

— დავაჭირე.

— შტეფსელში მავთული შეერთებულია?

— ახლავე ვნახავ, დაიცადე, ფარანს ავიღებ...

— ფარანი რისთვის გინდა?

— შუქი არ არის...

●●●

გოგო ბიჭს ეუბნება:

— იცი, ფეხმძიმედ ვარ, შენგან...

— როგორ? ჩვენ ხომ ერთად არც კი ვწოლილვართ?

— მეც შოკში ვარ!..

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— მგონი, ვკვდები...

— აბა, რა იქნება, თითქმის მთელი მანდარინი ერთიანად შეჭამე!

— „თითქმის“? რა, დარჩა სადმე?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნოდიკო ტატიშვილს მანქანა დაუზიანეს



მომღერალ ნოდიკო ტატიშვილს მანქანა დაუზიანეს — სადარბაზოსთან მდგარ ავტომობილს მინა ჩაუმსხვრიეს:

— ჩემ სადარბაზოსთან ჩემი მანქანა გაუტეხავთ. გადმოუყრიათ ყველაფერი. საფულე გადარჩა, ვერ იპოვეს.

პ.ს. ამის მერე საფულეს აღარ დავტოვებ მანქანაში.

## „სუხიშვილები“ უკრაინელებისთვის კონცერტებს გამართავს




ანსამბლი „სუხიშვილები“ 28, 29 და 30 მარტს ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში უკრაინის მხარდასაჭერ კონცერტებს გამართავს.

ქართული ნაციონალური ბალეტი დამსწრე საზოგადოების წინაშე კლასიკური პროგრამით წარდგება. ჩატარებული კონცერტებიდან შემოსული თანხა საქართველოში უკრაინის საელჩოს ანგარიშზე გადაირიცხება და ომში დაზარალებულებს მიზნობრივად მოხმარდება.

## ჭიათურის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსი ჩაიშალა

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსი ჩაიშალა. კონკურსი 14 თებერვალს გამოცხადდა და მასში მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა, რომლის სარეკომენდაციო საბჭოსათვის წარდგენა შემდგომი შეფასებებისათვის კულტურის სამინისტრომ, მოცემული კანდიდატის სამხატვრო ხელმძღვანელად წარსულში მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების“ მოთხოვნათა გათვალისწინებით და დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, სამინისტრომ მოცემულ თეატრში კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

## ქართველმა მომღერლებმა ბულგარეთში გაიმარჯვეს



მომღერლებმა ბაგრატ შარიამ და დეა გერლიანმა ბულგარეთის სოფიის საერთაშორისო ონლაინ კონკურსზე წარმატებებს მიაღწიეს და გამარჯვება მოიპოვეს.

9 წლის ბაგრატ შარიამ „გრან-პრი“ დაიმსახურა საავტორო სიმღერით „ერთმანეთის სიყვარული გვიხსნის“, 6 წლის დეა გერლიანმა კი — პირველი ადგილი.

საერთაშორისო ფესტივალ კონკურსზე „გაზაფხული ბათუმში“ გრანპრი დაიმსახურეს ბაგრატმა, დეამ სოლო საავტორო სიმღერით „ნანა“ და 6 წლის ლიზი ტერტერაშვილმა — შრომისმოყვარე ნიჭიერმა პატარამ საავტორო სიმღერით „მრავალჟამიერი“. მან სიმღერა საქართველოს და უკრაინის დროშების ფონზე შეასრულა.

დიდი შრომის, მოთმინებისა და პროფესიონალიზმის დამსახურებით, ბაგრატ შარიამ აქტიური მუშაობით უდიდეს წარმატებას მიაღწია.

აფხაზეთის მკვიდრმა ბიჭმა დაამტკიცა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და ცერებრალური დამბლისა და მხედველობის პრობლემების მიუხედავად, სცენაზე დადგა. მისი მუსიკალური სმენა ნიკოლოზ თითირაშვილმა სისტემატური, თავდაუზოგავი შრომით დახვეწა და ბაგრატს ოცნება აუსრულა — სცენაზე დააყენა. სპეციალურად მისთვის დაწერილი სიმღერით „აფხაზეთს“ ბაგრატმა მრავალი კონკურსი მოიგო.

## ანსამბლმა „რუსთავმა“ პოლონეთში გასტროლები გამართა



ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავი“ პოლონეთის საგასტროლო ტურნე დაასრულა.

ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლებმა და მოცეკვავეებმა კონცერტები პოლონეთის 11 ქალაქში გამართეს.

— უკრაინაში არსებული საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველგვარი რეკლამის, პომპეზურობისა და პიარის გარეშე გადავწყვიტეთ აღნიშნული ტურნეს მოწყობა. მიუხედავად რთული მდგომარეობისა, კონცერტებს მაყურებელი არ მოკლებია და ანსამბლ „რუსთავის“ სახელით ქართულმა ხელოვნებამ კიდევ ერთხელ იზეიმა.

ანსამბლის გადაწყვეტილებით, საკონცერტო პროგრამაში ცვლილება შევიდა და ჩვენმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა ტრადიციული მუსიკალური ნომრების გარდა, უკრაინული და პოლონური მუსიკალური ნომრებიც წარმოვადგინეთ. კონცერტებზე პოლონელებისა და ქართველი ემიგრანტების გარდა, იმპრესარიოს თანხმობით, უკრაინიდან დევნილი მოსახლეობაც მოვიწვიეთ.

კონცერტები პოლონეთ-უკრაინის სასაზღვრო ქალაქებშიც გავმართეთ. იქ, სადაც ათასობით უკრაინელი დევნილია დაბინავებული. ასე მოვახერხეთ უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ გამოგვეხატა ჩვენი სოლიდარობა.

საკონცერტო პროგრამა უკრაინის სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით იწყებოდა. ცეკვა ხორუმის ფინალში კი, საქართველოს და პოლონეთის დროშებთან ერთად, უკრაინის დროშაც ფრიალებდა. აღსანიშნავია უკრაინელი მაყურებლის მადლიერება — ქართველი ერისა და ანსამბლ „რუსთავის“ უკრაინისადმი სოლიდარობა აპლოდისმენტებით გამოხატეს. ზოგიერთმა მაყურებელმა მადლიერების სიტყვები მოსაწვევებსა თუ კონცერტის ბილეთებზე დაწერა და კონცერტის დასრულების შემდეგ გადმოგვცა, — ნათქვამია ანსამბლის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 2. აბანოს თანამშრომელი; 3. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 4. პლანეტის თანამგზავრი; 7. ცნობილი ფინელი კომპოზიტორი; 8. წყალში გახსნილი სახატავი საღებავი; 12. პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ კინორეჟისორი; 14. ენისა და ლიტერატურის მკვლევარი მეცნიერი; 16. ქანების სანგრევი, ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 17. მდინარის ძვირფასი სარეწაო თევზი; 19. ცხენების ჯოგი; 20. ქართული ზღაპრების პერსონაჟი — ავი სული.

**თარაზულად:** 5. აფრიკის სახელმწიფო, სამხრეთ როდეზიის დღევანდელი სახელწოდება; 6. სახელმწიფო ევროპაში; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 10. ღვინის ვაჭარი ძველად; 11. ნახევრად ტკბილი, თეთრი ფერის ქართული სამარკო ღვინო; 13. წყლის საქაჩი მექანიზმი; 15. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 18. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 21. ქალ-ვაჟის შეუღლება კანონიერი გაფორმებით; 22. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 23. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

